

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სვეტლანა კირაკოსიან

**აშშ-ის ენერჯეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის
სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები**

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ნიკა ჩიტაძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების ანალიზს. ნაშრომში განხილულია ენერგეტიკული უსაფრთხოების რაობა და მისი უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. ეს მოიცავს ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეპტუალური საფუძვლების გამოკვლევას და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში სამხედრო-პოლიტიკური ასპექტის როლის გამოვლენას.

ნაშრომში მოყვანილია ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში აშშ-ის საქმიანობის კონკრეტული მაგალითები ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიისა და არქტიკის რეგიონების მაგალითებზე. ნაშრომში იდენტიფიცირებულია ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში აშშ-ის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების ვარიანტები. აგრეთვე, განხილულია აშშ-ის მიმდინარე და დაგეგმილი პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში დასტურდება, რომ აშშ ისტორიულად ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენერგოუსაფრთხოებას და დღესაც ეს მიმართულება პრიორიტეტულია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.. აშშ არის ქვეყანა, რომელიც საკუთარი მზარდი ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით მზადაა გამოიყენოს სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების მრავალფეროვანი არსენალი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

Military-political Aspects of Ensuring US Energy Security

Annotation

Svetlana Kirakosian

This work is dedicated to analyzing military-political aspects in the process of ensuring the United States energy security. The essence of energy security and military-political factor of its assurance on the example of the United States is being discussed in the work. This includes researching the conceptual basis of energy security and revealing the role of military-political aspect in a unified system of assuring energy security.

The work provides specific examples of US activities in terms of ensuring energy security in the regions of Middle East, Central Asia and Arctic. The options of use of military force by US in the process of assuring energy security with the purpose of protecting national interest has been identified in the work. Also, author discusses the current and planned policy of the US in direction of providing energy security.

In the conclusion of the work it is confirmed, that the US historically always emphasized the importance of energy security and it still represents the priority in terms of assuring the country's national security. The United States is a country which is ready to use a diverse arsenal of military-political aspects to ensure energy security with the purpose of supporting its growing economy.

სარჩევი

შესავალი	5-10
თავი I - ენერგეტიკული უსაფრთხოების რაობა და მისი უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი.....	11-24
1.1 ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეპტუალური საფუძვლები და მისი საფრთხეები.....	11-15
1.2 სამხედრო-პოლიტიკური ასპექტის როლი და ადგილი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში	15-21
1.3 სამხედრო ძალის გამოყენების ძირითადი მიზნები ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების დაცვის მიზნით.....	21-24
თავი II - აშშ-ის პოლიტიკის მაგალითები ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში	25-39
2.1 აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში	26-30
2.2 აშშ-ის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში	31-36
2.3 აშშ-ის პოლიტიკა არქტიკის რეგიონში	36-39
თავი III - აშშ-ის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების სცენარები და პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით	40-56
3.1 სამხედრო ძალის გამოყენების ვარიანტები აშშ-ის ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების დასაცავად	40-45

3.2 აშშ-ის მიმდინარე და დაგეგმილი პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით	45-52
დასკვნა	53-56
გამოყენებული ლიტერატურა	57-61

აშშ-ის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები

შესავალი

ენერგოუსაფრთხოება 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. მის უზრუნველყოფაზე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მთავარ განარტს. რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო, მით უფრო აქტუალურია ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის დღის წესრიგში. აქედან გამომდინარე, ნავთობისა და გაზის, აგრეთვე სხვა ენერგომატარებლების ბაზრის კონტროლისკენ სწრაფვა იწვევს პოლიტიკურ და ზოგიერთ შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირებას სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის.

წინამდებარე საკვლევითი თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მსოფლიოში არასტაბილურობის ზრდის პირობებში, აგრეთვე ძირითადი ენერგორესურსების შეზღუდული ხასიათისა და მსოფლიო მარაგების ამონურვის საშიშროების ფონზე, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

სახელმწიფოს ენერგოსაფრთხიანობის ტერმინის ქვეშ იგულისხმება მოქალაქეების, საზოგადოების და ეკონომიკის დაცულობა იმ საფრთხეებისგან, რომელიც გამომდინარეობს მისაღები ხარისხის ენერგეტიკული რესურსებით მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესის შეფერხებიდან. ხოლო, სახელმწიფოს ენერგოსაფრთხიანობის უზრუნველყოფა გულისხმობს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო საფრთხეების მინიმალიზაციას ენერგომომარაგების სფეროში.

ენერგომატარებლების პოტენციური უკმარისობა იწვევს ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონების მართვისკენ ან/და მათზე ზეგავლენის მოპოვებისკენ სწრაფვას, რაც აიძულებს სახელმწიფოებს გამოიყენონ სამხედრო-პოლიტიკური ძალა ამა თუ იმ სახით - დანყებული სამხედრო ინტერვენციით და დასრულებული სამხედრო ალიანსებისა და კოალიციების შექმნით, რომელთა მისიას აგრეთვე წარმოადგენს მათი ენერგოსაფრთხიანობის უზრუნველყოფა.

ეტაპობრივად, ენერგორესურსებზე კონტროლი ხდება სახელმწიფო ძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი. სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ამერიკის შეერთებული შტატებიც ცდილობს უზრუნველყოს საკუთარი ენერგოსაფრთხიანობა, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებით.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ენერგეტიკული უსაფრთხიანობის უზრუნველყოფის პროცესში სამხედრო-პოლიტიკური ძალის მუდმივ მზადყოფნაში მოყვანა გამომდინარეობს თანამედროვე ეკონომიკაში ენერგომატარებლების მნიშვნელობის ზრდით, მათი ამონურვადი ხასიათით და სერიოზული ალტერნატიული ენერჯის წყაროების არარსებობით. სწორედ ამიტომ, აშშ იყენებს ყველა, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რაც საჭიროა საკუთარი ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების დასაცავად, ზოგიერთ შემთხვევაში თანამშრომლობისა და ე.წ. „ჭკვიანი პოლიტიკის“ გატარებით და ზოგჯერ სამხედრო ძალის გამოყენებით ცდილობს მოიპოვოს დომინანტური პოზიცია ნავთობითა და გაზით მდიდარ რეგიონებში.

წინამდებარე ნაშრომში **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგოუსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის საკითხი, ხოლო **კვლევის საგანს** წარმოადგენს აშშ-ის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემაში სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების როლისა და მნიშვნელობის ანალიზი. ამისათვის აუცილებელია **კვლევის ამოცანების** შესრულება, როგორცაა ენერგოუსაფრთხოების სისტემის თეორიული საფუძვლების გამოკვლევა, ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისას სამხედრო პოლიტიკის რეალიზაციის კუთხით აშშ-ის მოქმედებების ანალიზი, საერთაშორისო ენერგეტიკული ტენდენციების განვითარების პროგნოზირება და აშშ-ის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობები ენერგეტიკულ სფეროში ეროვნული ინტერესების დასაცავად.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს მსოფლიოს შემდეგ რეგიონებს: ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია კასპიისზღვის აუზით და არქტიკა. ამგვარი შერჩევა განპირობებულია ზემოთხსენებულ რეგიონებში ენერგორესურსების ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებლის, აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური აქტობის მაშტაბებიდან გამომდინარე.

კვლევის ჰიპოთეზა ასახულებს იმ ფაქტს, რომ აშშ-ი აქტიურად იყენებს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში სამხედრო-პოლიტიკური ასპექტებს, თუნდაც იმ მიზეზით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს აქტიური სამხედრო კამპანია, ძლიერი სამხედრო პოტენციალის არსებობა თავისთავად ანგარშვასაწევს ხდის სახელმწიფოს საერთაშორისო არენაზე, მათ შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისას.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია **კვლევის ისეთი მეთოდები**, როგორცაა ინდუქციისა და დედუქციის, სინთეზისა და ანალიზის

ზოგადსამეცნიერო მეთოდები, ისტორიული, ცივილიზაციური, სისტემურ-სტრუქტურული, სტრუქტურულ-ფუნქციონალური და შედარებითი ანალიზის მეთოდები. აშშ-ის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების კვლევისას გამოყენებული იქნა სისტემური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც ენერგოუსაფრთხოება განხილულია, როგორც რთული, ღია, ორგანიზებული, ადაპტირებადი სისტემა, რომელიც შედგება სხვადასხვა ქვესისტემებისგან.

პრობლემის კვლევის მიდგომარეობა: მიუხედავად იმისა, რომ აშშ გახლავთ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, აშშ-ის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების საკითხს საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქართველოს მკვლევართა ყურადღების არეალში ექცევა ზოგადად აშშ-ის ეკონომიკური უსაფრთხოების, უფრო იშვიათად კი ენერგოუსაფრთხოების საკითხები, მაგრამ არ ხდება მისი კონკრეტიზაცია სამხედრო-პოლიტიკურ დონეზე.

მიმოვიხილოთ წინამდებარე ნაშრომის კვლევის პრობლემაზე მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოსა და უცხოეთში. ენერგოუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ნიკა ჩიტაძის სტატიები ენერგოუსაფრთხოების შესახებ, კერძოდ კი ნაშრომი „აშშ-ის ენერგეტიკული სტრატეგია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე“. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია აშშ-ის ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითად ასპექტებზე უახლესი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, 1973-1974 წლების სანაფთობო კრიზისზე და ამერიკის როლზე, აგრეთვე აშშ-ის ენერგოსტრატეგიაში 21-ე საუკუნის დასაწყისში არსებულ იმ ძირითად ცვლილებებზე, რომელიც უკავშირდებოდა ფიქალური გაზის მოპოვების ზრდას, რუსეთის მიერ ენერგორესურსების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას, აშშ-ევროკავშირის შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს და სხვა. ორგანიზაცია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“

ორი გამოცემა „ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები საქართველოსთვის“ და „ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“, სადაც განიხილება ენერგეტიკული უსაფრთხოების რაობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოს მაგალითზე. ენერგოუსაფრთხოების კვლევის საკითხებში აღსანიშნავია გ. არაბიძის, მ. გუდიაშვილის, თ. ჯიშკარიანის წიგნი „ენერგეტიკული უსაფრთხოება“, სადაც განხილულია საქართველოს ენერგორესურსები და მათი ათ-ვისების დონე, ბუნებრივი კატასტროფები და ინციდენტები, ენერ-გეტიკაში სავარაუდო რისკები და მათი შემცირების ღონისძიებები არამკაფიო ინფორმაციისა და განუსაზღვრელობის პირობებში.

რაც შეეხება უცხოურ ლიტერატურას, აღნიშნული თემა სხვადასხვა კუთხით არის განხილული ამერიკელი, ევროპელი და რუსი მკვლევარების მიერ. მაგალითად, რუსი მკვლევრის, ბორის ლუკშინი აშშ-ის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკურ კონტექსტს განიხილავს მის ავტორეფერატში. იური მოროზოვი განიხილავს თავის სამეცნიერო სტატიაში ყურადღებას ამახვილებს აშშ-ის სამხედრო პოლიტიკის ზეგავლენაზე ცენტრალურ აზიაში სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებში და აანალიზებს აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს ამ რეგიონში. ამ სფეროში მნიშვნელოვანია აგრეთვე ვ. იკშინის ნაშრომი „ენერგეტიკული უსაფრთხოება - სახელმწიფოს უსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველი“, სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეპტუალური ნაწილები ნათლად არის ჩამოყალიბებული ა. ფილიპჩენკოს ნაშრომში „ენერგეტიკული უსაფრთხოება“. აღსანიშნავია აგრეთვე, იური ბოროვსკის ნაშრომი „მსოფლიო ენერგეტიკის პოლიტიზაცია // საერთაშორისო პოცესები“, მ. კლერის ნაშრომების ენერჯის გეოპოლიტიკის ახალი რეალიების შესახებ, მორან დ. რასელის „ენერგეტიკული უსაფრთხოება და გლობალური პოლიტიკა“, ბ. შეიფერის „ენერჯის გეოპოლიტიკა“, დენიელ მორანისა და ჯეიმს რასელის გამოცემა „ენერგეტიკული უსაფრთხოება და გლობალური პოლიტიკა“. ბუმისა და ჩენის ენერგეტიკული სტრატეგია კარგად აქვს გაანალიზებული მ. კლერს. აშშ-ის ერთ-ერთი გლობალური კონკურენტის,

ჩინეთის ამბიციები არქტიკის რეგიონთან დაკავშირებით კარგად აქვს განხილული ლ. ჯეიკობსონს თავის ნაშრომში „ჩინეთი ემზადება უყინულო არქტიკისთვის“. მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა აგრეთვე აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო უსაფრთხოების საკონსულტაციო საბჭოს 2014 წლის ანგარიში ენერჯეტიკის გეოპოლიტიკის შესახებ, სადაც განხილულია ენერჯეტიკის სფეროში არსებული და მომავალი გამოწვევები და შესაძლებლობები.

წინამდებარე ნაშრომის **მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ პირველად საქართველოში იქმნება ნაშრომი, რომელიც განიხილავს კონკრეტულად აშშ-ის ენერჯეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებს. აგრეთვე, ნაშრომი უნიკალურია მისი მიდგომებიდან გამომდინარე, რადგან ენერგოუსაფრთხოების სფეროში აშშ-ის სამხედრო პოლიტიკის ანალიზი ხდება როგორც თეორიული საფუძვლების, ისე პრაქტიკული გამოყენების კუთხით, რაც საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ და გავანალიზოთ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის თანმიმდევრულობა და მისი სისტემური ხასიათი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. აგრეთვე, გამოვავლინოთ ეროვნული ენერჯეტიკული ინტერესების დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენების მიზნები.

კვლევის თეორეტიკული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს აშშ ენერგოუსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების როლის ანალიზში. მიღებული შედეგები დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის მიზნები და მოქმედების სცნარები ეროვნული ენერჯეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ეს უკანასკნელი დაგვეხმარება უკეთ დაგვეგმოდ და წარემართოთ საქართველოს ენერჯეტიკული პოლიტიკა, რათა იგი წინააღმდეგობაში არ მოვიდეს სტრატეგიული პარტნიორის მოქმედებებთან არსებული რეალიების გათვალისწინებით.

მკვლევართა ლიტერატურის გარდა, ნაშრომის შექმნისას გამოყენებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა ბიბლიოთეკების **მატერიალური რესურსები** და აგრეთვე

ისეთი საინფორმაციო რესურსები, როგორცაა სხვადასხვა სახის დოკუმენტური წყაროები, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად.

პირველი ჯგუფი მოიცავს აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებს: 1) თეთრი სახლის ოფიციალური დოკუმენტები; 2) აშშ-ის მთავრობის ოფიციალური დოკუმენტები; 3) აშშ საკანონმდებლო აქტები; 4) აშშ კონგრესის მთავარი საკონტროლო-ფინანსური მართვისა და კვლევითი სამსახურის ანგარიშები; 5) სხვა ოფიციალური დოკუმენტები.

მეორე ჯგუფის წყაროები მოიცავს უდიდესი ნავთობისა და გაზის კორპორაციების ანგარიშებს, აგრეთვე სტატისტიკურ მასალებს სხვადასხვა ავტორიტეტული წყაროებიდან, მათ შორის ბრიტიშ პეტროლიუმის მსოფლიო ენერჯის სტატისტიკური მიმოხილვა, აშშ ენერჯის საინფორმაციო ადმინისტრაცია, დამოუკიდებელი სტატისტიკა და ანალიზი; ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ფაქტების წიგნი, და სხვა.

მესამე ჯგუფი მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო პერიოდული ჟურნალ-გაზეთების მასალებს.

მეოთხე ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორანიზაციების ვებ-გვერდებს.

თავი I

ენერგეტიკული უსაფრთხოების რაობა და მისი უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ენერგეტიკა. ენერგეტიკა და ენერგორესურსების ბაზარი მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გახდა მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ერთ-ერთი საგანი, რადგან ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ წინ წამოწიეს ენერგორესურსებზე წვდომის საკითხები.

იმისათვის, რომ გავიგოთ სახელმწიფოების, კერძოდ, აშშ-ის ენერგეტიკული პოლიტიკა და განსაკუთრებით მისი სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები, საჭიროა

კარგად გავანალიზოთ ენერგეტიკული უსაფრთხოების რაობა და მისი უზრუნველყოფის სამხედრო პოლიტიკური ფაქტორი.

1.1 ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეპტუალური საფუძვლები და მისი საფრთხეები

ქართული ენციკლოპედიის განმარტებით, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, გულისხმობს ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მუდმივ, გარანტირებულ და ეკონომიკურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის ენერგეტიკული რესურსით.

ნაშრომის ფარგლებში ტერმინი „ენერგოუსაფრთხოება“ განიხილება როგორც მოქალაქეებისა და საერთოდ სახელმწიფოს დაცულობა ყველა სახის ენერგორესურსების დეფიციტის საფრთხეებისგან, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ნეგატიური ბუნებრივი, ტექნოგენური, მართვის, სოციალურ-ეკონომიკური, საშიანაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით.

ენერგოუსაფრთხოების კომპონენტებია მიწოდების უსაფრთხოება, მისაღები ფასების შენარჩუნება, საერთაშორისო ურთიერთობების არასამთავრობო აქტორების, მათ შორის ტერორისტების მიერ ნავთობსადენების, ატომური ელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სხვა კომპონენტების განზრახ გაფუჭების პრევენცია, ენერგეტიკის სფეროზე ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენა.

აღნიშნულ კომპონენტებს ემატება ენერგორესურსების მიწოდების საიმედოობა, ენერგორესურსების იმპორტის მოცულობა, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, სამხედრო პოტენციალის არსებობა საფრთხეების დროული

პარირებისთვის, ფასთა ადეკვატურობის შენარჩუნება და საშინაო რესურსების არსებობა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების სხვადასხვა დეფინიციები არსებობს, რომლებიც თითქოს განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა მაინც ერთ საბოლოო აზრს აყალიბებენ. განვიხილოთ საქართველოს და საზღვარგარეთის მეცნიერების დეფინიციები „ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ“:

- ენერგეტიკული უსაფრთხოება არის ენერჯის ადეკვატური მიწოდება გონივრულ ფასად (საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტო).
- ენერგეტიკული უსაფრთხოება არის იმის გარანტია, რომ ენერჯია ხელმისაწვდომი იქნება იმ რაოდენობითა და იმ ისეთი ხარისხით, რომელიც საჭიროა მოცემული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მსოფლიო ენერგეტიკული საბჭო).
- ენერგეტიკული უსაფრთხოება არის ენერგეტიკული რესურსების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია ენერგოდამოკიდებულების რისკების შემცირების მიზნით (ევროპული თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულება).
- ენერგეტიკული უსაფრთხოება არის სახელმწიფოს მდგომარეობა, რომლის პირობებშიც მიიღწევა მისთვის საჭირო ენერგორესურსებით უზრუნველყოფის გარანტია იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოჩნდება საგანგებო სიტუაცია [ა.მ. ფილიპჩენკო, 2005, 56].
- ენერგეტიკული უსაფრთხოება არის ეკონომიკის ენერგორესურსების მოთხოვნილების უწყვეტი უზრუნველყოფა მისაღები ხარისხის ენერგეტიკული რესურსებით. ნორმალურ პირობებში - საჭირო მოთხოვნის უზრუნველყოფა სრული მასშტაბით; საგანგებო სიტუაციებში - მინიმალური საჭიროების მნიშვნელოვანი მოთხოვნების უზრუნველყოფის გარანტირება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მის უნარს დაიცვას მისი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები ენერგეტიკულ სფეროში სხვადასხვა სახის საფრთხეებისგან და ამით, უზრუნველყოს ეროვნული კომპანიების წვდომა მათი ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის აუცილებელ ბუნებრივ რესურსებზე.

აშშ აღიარებს, რომ მის ენერგოუსაფრთხოებას გააჩნია მთელი რიგი რისკები, რომლებიც განსხვავდებიან მათი აქტუალობის მიხედვით. ასე, ცხრილში ჩანს ოთხი ტიპის რისკის პროცენტული თანაფარდობა: ეკოლოგიური, მიწოდების საიმედოობა, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური; რომელიც მოიცავს 2010-2030 წლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული უსაფრთხოების წინაშე არსებული და პოტენციური საფრთხეების გაანალიზებაში დაგვეხმარება ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რომელიც ასახავს სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საფრთხეებს.

ცხრილი 1. სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საფრთხეების კლასიფიკაცია.




ცხრილში მოცემული ძირითადი საფრთხეების დაყოფა შესაძლებელია რამდენიმე ქვე-კომპონენტებად. ა. ფილიპჩენკოს მის ნაშრომში „ენერგეტიკული უსაფრთხოება“ საფრთხეები დაყოფილი აქვს ზეგავლენის მასშტაბების მიხედვით

ენერგეტიკული უსაფრთხოების საფრთხეები იყოფა გლობალურ, საერთო-სახელმწიფოებრივ, რეგიონალურ და ლოკალურ საფრთხეებად. ზემოქმედების მიმართულების მიხედვით საფრთხეები იყოფა საშინაო და საგარეო საფრთხეებად. სიცოცხლისუნარიანობის სფეროების მიხედვით საფრთხეებს გააჩნიათ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოგენური, ბუნებრივი და სამხედრო ხასიათი, ხოლო წარმოშობის დროის მიხედვით არსებობს პოტენციური და რეალური საფრთხეები. (ა.მ. ფილიპჩენკო, 2005)

განვიხილოთ აშშ უსაფრთხოების რისკის ინდექსის შეფასების მიხედვით გაანგარიშებული მონაცემები აშშ-ის რისკები და საფრთხეები გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე.

ცხრილი 2: აშშ-ის ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები (2010-2030წწ)



წყარო: Index of US Security Risk: Assessing America's Vulnerabilities in a global Energy Market, 2010.

წინამდებარე ცხრილის მონაცემთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური და გეოპოლიტიკური რისკები მთლიანი რისკების 60% შეადგენს. ეს მიუთითებს მომდევნო 20 წლის განმავლობაში სწორედ

საერთაშორისო პოლიტიკური რისკების მნიშვნელობის აღიარებაზე. მიწოდების საიმედოობა და საერთაშორისო სიტუაციის არასტაბილურობა შეადგენს მთლიანი საფრთხეების 50%-ზე მეტს და ამით აყალიბებს აშშ-ის, როგორც ეროვნული ენერგოუსაფრთხოების პროცესის უზრუნველყოფ სახელმწიფოს გარკვეული სახის პრიორიტეტებს.

1.2 სამხედრო-პოლიტიკური ასპექტის როლი და ადგილი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში

ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ის სამხედრო პოლიტიკა საკმაოდ შეიცვალა. ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის კრახმა ხელი შეუწყო მონინაალმდევე სახელმწიფოთა სტრატეგიული დაპირისპირების დონის დაწევას. ამასთანავე, დაიკარგა მრავალრიცხოვანი ჯარის არსებობისა და ბირთვული პოტენციალის გამდიდრების აუცილებლობა.

ამის მიუხედავად მსოფლიოში კონფლიქტები არ გაუჩინარებულა, მხოლოდ სახე იცვალა. გლობალური დაპირისპირება ჩაანაცვლა რეგიონალურმა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ლოკალურმა დაპირისპირებებმა.

ცივის ომის დასრულებასთან ერთად მსოფლიოში მიმდინარე და წარმოქმნილი კონფლიქტების მიზეზს აღარ წარმოადგენდა ორი სუპერსახელმწიფოს დაპირისპირების ანარეკლი. იგი მოიცავდა უფრო ფართო სპექტრის დაპირისპირებებს, დაწყებული სუბკონვენციონალური (ლოკალური), დამთავრებული ჩვეულებრივი (რეგიონალური) ომებით. მათი გამომწვევი მიზეზი არის არა იდეოლოგიური დაპირისპირება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების მთელი კომპლექსი.

ბიპი-ს მსოფლიო ენერგეტიკის სტატისტიკური მიმოხილვის მიხედვით 2014 და 2015 წლებში ქვანახშირის მწარმოებელ ქვეყანათა შორის პირველ სამეულს შეადგენს ჩინეთი, აშშ და ავსტრალია. (იხილეთ ცხრილი 3)

Million Tonnes	Production	
Country	Total production 2014*	Total production 2015**
Australia	503.3	485
China	4000	3747
Germany	186.5	184
India	659.6	677
Indonesia	470.8	392
Kazakhstan	115.6	106
Poland	136.9	136
Russia	357	373
South Africa	253.2	252
USA	906.9	813

ცხრილი 3: ქვანახშირის მწარმოებელი ლიდერი ქვეყნები 2014 და 2015 წლებში

წყარო: მსოფლიო ენერგეტიკის BP-ს სტატისტიკური მიმოხილვა 2016

აშშ-ის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების ანალიზისთვის აუცილებელია აგრეთვე გაივთვალისწინოთ გლობალური ნავთობის მოთხოვნის სტატისტიკა მსოფლიოში. CIA-ის მსოფლიო ფაქტების წიგნის მონაცემების საფუძველზე მე-4 ცხრილში ნათლად ჩანს გლობალური ნავთობის მოთხოვნის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით და სამომავლო ტენდენციები. ცხრილიდან ჩანს, რომ ნავთობზე მოთხოვნა მალაღია ძირითადად განვითარებული ეკონომიკის მქონე რეგიონებში, სადაც ინდუსტრიული პროდუქციის წარმოებისთვის ენერჯის წყაროდ ძირითადად ნავთობს მოიხმარენ. ამ კუთხით პირველ სამეულში შედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, ევროპა და აზია.

ცხრილი 4: გლობალური ნავთობის მოთხოვნის მაჩვენებლები 2014-2020 წლებში

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2014-2020
OECD Americas	24.1	24.2	24.3	24.4	24.5	24.4	24.4	0.3
OECD Asia Ocean	8.1	8.0	7.9	7.9	7.9	7.9	7.8	-0.3
OECD Europe	13.4	13.3	13.3	13.2	13.1	13.0	12.9	-0.5
FSU	4.8	4.6	4.7	4.7	4.8	4.9	5.0	0.1
Other Europe	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.1
China	10.4	10.6	10.9	11.2	11.5	11.8	12.1	1.7
Other Asia	12.1	12.5	12.9	13.3	13.7	14.1	14.5	2.4
Latin America	6.8	6.9	7.0	7.1	7.2	7.3	7.4	0.6
Middle East	8.1	8.3	8.5	8.8	9.0	9.2	9.5	1.4
Africa	3.9	4.1	4.2	4.4	4.5	4.6	4.8	0.9
World	92.4	93.3	94.5	95.7	96.9	98.0	99.1	6.6

წყარო: მსოფლიო ენერჯეტიკული საბჭოს ანგარიში მსოფლიო ენერჯეტიკული რესურსების შესახებ, 2016

რაც შეეხება ბუნებრივი აირს დაზვერვილი მარაგებისა და წარმოების მონაცემებს, რეგიონების მიხედვით ლიდერულ პოზიციებზეა ახლო აღმოსავლეთი, ევრაზია და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი. მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ რეგიონალურ დონეზე აშშ არ იკავებს მონინავე პოზიციებს, ამიტომაც, ამ კუთხით აშშ-ში მიმდინარეობს ინოვაციური მეთოდების დანერგვა და განხორციელება. მიხედვად იმისა, რომ აშშ ამ ეტაპზე ბუნებრივ აირზე საკუთარი მოთხოვნის საკმაოდ დიდ ნაწილს იკმაყოფილებს, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ სამომავლო პერსპექტივაში ბუნებრივი აირი განიხილება, როგორც პოტენციურად დეფიციტში მყოფი ენერგორესურსი და ამ კუთხით მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ეფექტიანი

პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით ამერიკის კონტინენტების გარეთადალტერნატიული უზრუნველყოფის წყაროების ძიება.

ცხრილი 5: ბუნებრივი აირის მონაცემები რეგიონების მიხედვით.

2015 Region	Proved Reserves		Production		R/P Ratio
	Bcm	Bcf	Bcm	Bcf	Years
Africa Total	14064	496666.5	211.8	7479.2	66.4
Asia Pacific Total	15648.1	552607.7	556.7	19658.2	28.1
Europe & Eurasia Total	56778.4	2005109.3	989.8	34955.2	57.4
LAC Total	7591.5	268091.0	178.5	6302.1	42.5
Middle East Total	80040.9	2826617.7	617.9	21821.1	129.5
North America Total	12751.8	450326.0	984.0	34750.4	13.0
Global Total	186874.7	6599418.0	3538.6	124966.2	52.8

წყაროები: BP- ის მსოფლიო ენერჯეტიკის 2015 წლის სტატისტიკური მიმოხილვა, ოპეკის წლიური სტატისტიკური ბიულეტენი 2015, CIA-ს: მსოფლიო ფაქტების წიგნი და გამოქვეყნებული ეროვნული წყაროები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე აშშ-ის სამხედრო ძალის ტრანსფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ მისი სამხედრო ძალა მუდმივ მოძრავ მდგომარეობაში უნდა იყოს, რაც გამოიხატება სამხედრო ძალის მაქსიმალურად ადაპტირების მცდელობაში თანამედროვე მსოფლიოს პირობებთან, სადაც ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ენერჯეტიკული რესურსებისადმი წვდომა. მართალია, ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა პირდაპირი სამხედრო ჩარევის აუცილებლობა, თუმცა სამომავლოდ შესაძლებელია დადგეს მისი გამოყენების საჭიროება.

ეს იდეები სხვადასხვა სახით აღბეჭდილია აშშ-ის ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში, სადაც ღიად საუბრობენ იმაზე, რომ აშშ-ის სამხედრო ძალა ორიენტირებულია ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. ამასთანავე, კრიტიკულ მნიშვნელობას არა თვითონ ტერიტორია, არამედ მისი ეკონომიკური, უფრო კონკრეტულად კი ენერგეტიკული პოტენციალი და ღირებულება იძენს, მისი სუსტი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურით.

თუმცა ენერჯის წყაროების ამონურავადი ხასიათის გამო ფართომასშტაბიანი ბრძოლის დაწყება ნაკლებსავარაუდოა. თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო პოლიტიკა შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც სახელმწიფოს ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე იგი არ არის ენერგეტიკული ხასიათის პრობლემების მოგვარების ერთადერთი ან უმთავრესი მექანიზმი, მისი მნიშვნელობის მთლიანად გამორიცხვა არ შეიძლება. არსებობს საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა აქტორების მიერ პროვოცირებული ლოკალური და რეგიონალური დაპირისპირების საფრთხის ალბათობა, რომლის მიზანი სხვადასხვა ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონებზე ზეგავლენის მოპოვებაა. ხშირად, ეს ინტერესები კვეთს ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ერთ-ერთი მთავარი მსოფლიო პოლიტიკის აქტორის ეროვნულ ინტერესებს, რაც შესაბამის რეაგირებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, დიპლომატიურ და ეკონომიკურ მექანიზმებთან ერთად, აუცილებელია ქვეყანამ წარმოაჩინოს მისი სამხედრო პოტენციალიც. სხვაგვარად რომ ჩამოვაცალიბოთ, სამხედრო სიძლიერე ქვეყნის პოლიტიკურ, დიპლომატიურ თუ ეკონომიკურ ნაბიჯებს უფრო დამატებელს და ანგარიშგასაწევს ხდის, რასაც კარგად იყენებს აშშ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ სამხედრო პოლიტიკა პერსპექტივაში თანდათან ცენტრალურ პლანზე გამოვა ენერგოსაფრთხოების საფრთხეებისადმი რეაგირების სისტემაში. ამას ძირითადად გეოპოლიტიკური ხასიათი გააჩნია. თანამედროვე რეაქციების გათვალისწინებით შეუძლებელია

მხოლოდ ეკონომიკური, პოლირიკური და დიპლომატიური ბერკეტების გამოყენებით საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირება. ენერგორესურსების ფლობასთან დაკავშირებულ შესაძლო კონფლიქტებში სახელმწიფოებთან ერთად ჩართული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების არასამთავრობო აქტორებიც. მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახალიფო“ აქტიურად იბრძოდა ერაყში ნავთობის საბადოების დაპრობის მიზნით.

ტერორიზმი ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, ცნობილია, რომ ტერორისტული ჯგუფები ხშირად აფეთქებენ მილსადენებს და მსგავსი პრეცედენტები განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში.

ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს 2008 წლის 5 აგვისტოს თავდასხმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, რის გამოც 14 დღის განმავლობაში ნავთობის გადინება შეწყდა,

მილსადენი დღეში 900,000 ბარელ ნავთობს ატარებდა. ფინანსურმა ზარალმა 1 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2014 წლის დეკემბერში, 7-წლიანი გამოძიების შემდეგ ბლუმბერგმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ მილსადენს თავს დაესხნენ არა ქურთიტერორისტები ხელთნაკეთი ბომბით, არამედ - ჰაკერები რუსეთის სპეციალური სამსახურების მხარდაჭერით, რომლებიც იყენებდნენ ულტრა-თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიას.

2015 წლის აგვისტოში აფეთქდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი. აფეთქება მოხდა თურქეთში ჩრდილო-დასვლეთ პროვინცია ყარსში. თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დაადასტურა რომ აფეთქება ტერორისტული შეტევის შედეგი იყო. [მსოფლიო გამცდილება საქართველოსთვის, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები საქართველოსთვის].

ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების რისკები სირიაში, თურქეთის საზღვართან ტერორისტული ჯგუფების რიცხვის ზრდასთან ერთად უფროდაუფრო იზრდება. ევროკავშირთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მსგავსი შეტევებისგან დასაცავად.

ასეთ შემთხვევებში აცილებელია ლიდერ სახელმწიფოებს გააჩნდეთ საკადრისი სამხედრო პასუხის გაცემის უნარი, რაც გლობალური ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, მოცემულ სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებასა და ლეგიტიმაციის ზრდას მოუტანს.

1.3 სამხედრო ძალის გამოყენების ძირითადი მიზეზები ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების დაცვის მიზნით

აუცილებელია განვიხილოთ და გავაანალიზოთ აშშ-ის ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების უზრუნველსაყოფად სამხედრო ძალის გამოყენების ძირითადი მიზეზები.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ 21-ე საუკუნის ოციანი წლებიდან ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში სამხედრო დაპირისპირების ალბათობა უფრო რეალური გახდება. ეს განპირობებულია გლობალიზაციის შესუსტებით და ისეთი უნივერსალური სამთავრობო-შორისო ორგანიზაციის შესუსტებით, როგორც არის გაერო. მითუმეტეს, რომ დღესდღეობით მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალთა ახალი გადანაწილების პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი ბუნდოვანია ამ პროცესში ჩართული თითოეული სახელმწიფოსთვის. აქედან გამომდინარე, მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ბრუნდება კლასიკური რეალიზმის პრინციპები, რომლითაც სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ხელმძღვანელობს.

ენერგორესურსებით მდიდარი ტერიტორიების დაკავების და დაცვის მიზნით ომის დანაშაულის აღება თანდათანობით იზრდება, რაც წარმოადგენს კონვენციური შეიარაღების შენარჩუნების მნიშვნელოვან მიზეზს. სწორედ ასეთი პერსპექტივების არსებობითაა გამოწვეული აშშ-ის საბიუჯეტო დიდი დანახარჯები სამხედრო ძლიერების უზრუნველყოფაში. 2018 წლის აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტში თავდაცვისთვის განკუთვნილია 686 მილიარდი აშშ დოლარი, საიდანაც 597 მილიარდი აშშ დოლარი განსაზღვრულია საბაზისო დანახარჯებისთვის, ხოლო 89 მილიარდი აშშ დოლარი საზღვარგარეთ საკონტინგენტო ოპერაციებში. 2017 წელთან შედარებით თავდაცვის ბიჯეტი 2018 წელს 13%-ით გაიზარდა. (აშშ-ის მთავრობის ბიუჯეტი, 2018).

რისკებისა და კონფლიქტის სახეების მიხედვით არსებობის ენერგორესურსებზე კონტროლის მოპოვების მიზნით სამხედრო ძალის გამოყენების შემდეგი სახის შესაძლებლობები და მიზეზები:

1. სამხედრო ძალის გამოყენებით ენერჯის წყაროების პირდაპირი დაკავება;
2. ენერჯის წყაროების განადგურება მონინააღმდეგის ხელში მათი აღმოჩენის არდაშვების მიზნით;
3. სამხედრო დაპირისპირება, რომელიც ჩნდება სახელმწიფოთა ინტერესების კონფლიქტისგან მსოფლიო ოკეანის საერთაშორისო წყლებში ენერგომატარებლების საბადოების ათვისების გამო, ისეთ არქიპელაგებზე, როგორცაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ან არქტიკა;
4. მარიონეტული რეჟიმების შექმნით ენერჯის წყაროებზე ირიბი კონტროლის დამყარება;
5. ნებისმიერი სახის ძალადობრივი აქცია ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურების მიმართ, მათ შორის ნავთობსადენების, გაზსადენების, პორტების და ა.შ.
6. აქტიური სამხედრო კონტროლი საერთაშორისო საზღვაო სრუტეებზე, საიდანაც ხორციელდება ენერგორესურსების ტრანსპორტირება;

7. ენერგორესურსების მწარმოებელი ქვეყნებისთვის სამხედრო ტექნიკის გადაცემა ენერგეტიკულ ბაზარზე პრეფერენციულობის სანაცვლოდ.

ყველა ეს სცენარი საკმაოდ რეალურია. მეტიც, საერთაშორისო საზოგადოება რამდენიმე მათგანის განხორციელების მოწმეა: ნავთობის ტანკერებზე მეკობრეთა თავდასხმები, აშშ-ის და ჩინეთის კონკურენცია მალაკის სრუტის კონტროლისათვის, „ხავერდოვანი რევოლუციები“ სხვადასხვა ქვეყნებში და ა.შ.

დღესდღეობით, ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფაში სამხედრო ძალის გამოყენების მთავარ მიზეზს ტერორიზმი წარმოადგენს. ტერორიზმსა და ენერგორესურსებს შორის კავშირი ეჭვგარეშეა. ეჭვგარეშეა, აგრეთვე, ტერორისტების ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურებზე თავდასხმების განხორციელების ინტერესები. აშშ-ის ტერორიზმის პრევენციის ეროვნული მემორიალური ინსტიტუტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ტერორისტულმა დაჯგუფებებმა განახორციელეს მინიმუმ 310 შეტევა ნავთობის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მთელ მსოფლიოში 1990-დან 2005 წლის ჩათვლით (საერთაშორისო უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, 2014). მათი უმეტესობა განხორციელდა 8 ძირითად ქვეყანაში: ერაყი, რუსეთი, კოლუმბია, ეკვადორი, ფილიპინები, თურქეთი, პაკისტანი და ალჟირი. ერაყში აშშ-ის ჯარების შესვლის მომენტიდან დაიწყო ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ბარსის ნავთობის ტერმინალზე თავდასხმები. აღნიშნული მოქმედებები დღესაც წარმოადგენს ნავთობმოპოვების დამაბრკოლებელ ფაქტორს.

ამგავარი საფრთხეების აღკვეთისთვის აშშ იძულებულია გამოიყენოს სამხედრო ძალისა და სპეცსამსახურების პოტენციალი. მხოლოდ მათ გააჩნიათ განსაზღვრული მეთოდების არსენალი, რომელიც აუცილებელია ტერორისტებთან, აჯანყებულებებთან და სხვადასხვა სამხედრო ფორმირებებთან ბრძოლისათვის.

აღნიშნული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლით აშშ-ს ერთდროულად შეუძლია გადანაცვით არა მხოლოდ თანმდევნი, არამედ სხვა უფრო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ამოცანებიც.

თუმცა, ამგვარ სიტუაციაში აშკარა ხდება, რომ გეოპოლიტიკა სულ უფრო უთმობს ადგილს გეოეკონომიკას. ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებს, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, საშუალება აქვთ გამოიყენონ გლობალიზაციის პროცესები საკუთარი ეროვნული ინტერესების მისაღწევად არა მხოლოდ დიპლომატიური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებითაც.

თუ ადრე ზეგავლენის სფეროების მოსაპოვებლად ძირითადი ფსონი იდებოდა სამხედრო ინსტრუმენტებზე, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით ზეგავლენის სფეროს გაფართოვება ითვალისწინებს სახელმწიფოს რესურსების ბაზის გაფართოვებას. სამხედრო ძალის გამოყენება ამგვარ სიტუაციაში ძალზედ შესაძლებელი ხდება, რადგან ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ რეგიონებზე დომინირების მოპოვებას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პირობებში მნიშვნელოვანია არა თვითონ ტერიტორია, არამედ მისი ეკონომიკური პოტენციალი - რესურსები, ინფრასტრუქტურა, კომუნიკაცია; ის, რაზეც დამოკიდებულია ბევრი ქვეყნის კეთილდღეობა. ამიტომაც, აშშ აქტიურად სწავლობს და აანალიზებს მსოფლიო ენერგეტიკულ ტენდენციებს სახელმწიფოებრივ დონეზე და იყენებს აღნიშნულ იფორმაციას ეროვნული ინტერესების, მათ შორის ენერგეტიკული ინტერესების დაცვის მიზნით, რომლის პროცესშიც სამხედრო-პოლიტიკური ძალის მზადყოფნა ყოველთვის ქვეყანას ფრო ანგარიშგასაწევ მდგომარეობაში აყენებს.

თავი II

აშშ-ის პოლიტიკის მაგალითები ენერგეტიკული უსათრთხოების უზრუნველყოფის საქმეში

ენერგორესურსების მოპოვების გეოგრაფიული არეალის სიმცირისა და მაღალგანვითარებული ქვეყნების ენერგოუსათრთხოების უზრუნველყოფის სათრთხოების რაოდენობის ზრდასთან ერთად რამდენადმე იზრდება სამხედრო ძალის სხვადასხვა ფორმით გამოყენების შესაძლებლობა. თანამედროვე პირობებში, ამგვარ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს აფრიკაში შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებები, ტერორისტული თავდასხმები ნავთობის საბადოებსა და სატრანსპორტო ქსელებზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

წინამდებარე ნაშრომში სამხედრო პოლიტიკის ქვეშ იგულისხმევა სახელმწიფოსა და მისი ცალკეული სტრუქტურების საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამხედრო ძალის მომზადებასა და საჭიროების შემთხვევაში მის გამოყენებას ენერგორესურსებით მდიდარ მსოფლიოს ყველა რეგიონში - ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია და სხვა, რომლებიც ასე თუ ისე, ხვდებიან იმ სახელმწიფოების ინტერესთა არეალში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათ ხარჯზე საკუთარი ენერგოუსათრთხოების უზრუნველყოფით. ამ მიმართებით ძალიან დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე არქტიკის რეგიონი, როგორც მისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობიდან, ისე ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი მარაგების არსებობიდან გამომდინარე.

გადავიტანოთ კვლევის აქცენტი კონცეპტუალურ-თეორიული დონიდან პრაქტიკულ დონეზე. წინამდებარე თავი მოიცავს აშშ-ის რეალური ქმედებების ანალიზს ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში და ამ ინტერესების დაცვის პრაქტიკას მისთვის მნიშვნელოვან რეგიონებში. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი აქტორი თვალსაზრისიდან ვერ გაუშვებდა აღნიშნულ რეგიონებს მათი ენერგორესურსების მარაგების პოტენციალიდან გამომდინარე. ამ კუთხით, საინტერესოა აშშ პოლიტიკის ევოლუცია და მისი რეტროსპექტრული ანალიზი მოცემულ რეგიონებში სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით.

2.1 აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

ენერგეტიკული უსაფრთხოება ფუნდამენტურად აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვისათვის. წიაღისეული ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკის გავითრების თვალსაზრისით კი, ამერიკის შეერთებულ შტატებისთვის ენერგოუსაფრთხოება ორმაგად მნიშვნელოვანია.

სახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი მიზანია ადეკვატური და საიმედო ენერგეტიკული წყაროების არსებობა ხელმისაწვდომ ფასად ქვეყნის ეროვნული ინტერესების და მიზნების გათვალისწინებით.

აშშ-მა უკვე სრული ძალებით დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური კამპანია ენერგორესურსების უკმარისობის სიტუაციის არდაშვებისკენ. თეორიულ დონეზე, ეს საკითხები ძალიან ყურადღებითაა დამუშავებული, მაგრამ მთავარი არის ის, რომ პრაქტიკულ დონეზეც ძალიან ბევრი რამ კეთდება.

აშშ-ისთვის ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი არის დიდი ახლო აღმოსავლეთი. აშშ-მა შეიმუშავეს მრავალფეროვანი ტაქტიკა ამ რეგიონის ქვეყნების მიმართ, თუმცა მათი მოქმედებები გამიზნულია მსოფლიო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ენერგეტიკული ლიდერული პოზიციების შენარჩუნებისკენ.

განვიხილოთ აშშ-ის კონკრეტული ქმედებები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რომელიც სტატისტიკის მიხედვით ითვლება მსოფლიოში ყველაზე მილიტარიზებულ რეგიონად. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ცენტრალური ადგილი უკავია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, ვაშინგტონის სამხედრო პოლიტიკაც რეგიონში კარგად გათვლილი და თანმიმდევრულია, და საკმაოდ ადვილად პროგნოზირებადია მისი შინაარსიდან გამომდინარე. ამავდროულად, სამხედრო ძალის გამოყენების ფორმა განსხვავდება რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებში.

ასე, მაგალითად საუდის არაბეთი, როგორც აშშ-ის უახლოესი პარტნიორი რეგიონში, უზრუნველყოფს მისთვის საჭირო რაოდენობის ნავთობის მიწოდებას პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნების გარანტიების სანაცვლოდ.

საუდის არაბეთის სამეფო ოჯახმა არჩია აშშ-თან თანამშრომლობითი ურთიერთობების წარმართვა. იქიდან გამომდინარე, რომ საუდის არაბეთი გახლავთ ნავთობის დაზვერვითი მარაგების და მოპოვების მიხედვით მსოფლიო ლიდერი, ამგვარი გათვლა სრულებით მართებული იყო. ჯერ კიდევ 40 წლის წინ აშშ-მა დაიწყო ქვეყნის მოდერნიზაციის გეგმის რეალიზება და შესთავაზა ერთადს პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნების მთელი რიგი პოლიტიკური და სამხედრო გარანტიები. ამის საპასუხოდ, საუდის არაბეთმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს აშშ-ს საჭირო რაოდენობის ნავთობი, ტექნიკის შესყიდვის კონტრაქტები დადოს ამერიკულ კომპანიებთან და იყიდოს აშშ-ის მთავრობის სახელმწიფო

ობლიგაციები. დღემდე, აშშ ხელს უწყობს საუდის არაბეთის სამეფო სახლს და აწვდის შეიარაღებას, მიუხედავად რეგულარულად წარმოქმნილი უთანხმოებებისა, მათ შორის ტერორიზმის საკითხებთან დაკავშირებით. მოცემულ სიტუაციაში ვაშინგტონისთვის უფრო მომგებიანია მიიღოს ენერგომატარებლები მისაღებ ფასებში, ვიდრე ჩაწეროს საუდის არაბეთი საერთაშორისო ტერორისტული მოძრაობის ხელშეწყობ და დამხმარე ქვეყანათა რიგებში.

ერაყში კი, სიტუაცია სულ სხვაგვარად მიმდინარეობდა. ერაყი ნავთობის მარაგების მოხედვით მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოში. მასზე კონტროლი წარმოადგენდა 2003 წელს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, რიჩარდ ჩეინისა და მისი რესპუბლიკელი თანამებრძოლების მიერ შემუშავებული ამერიკის ენერგეტიკული სტრატეგიის ცენტრალურ პუნქტს (კ. სინგერი, 2008). ერაყში მოვლენებმა სრულებით სხვა სახე მიიღეს. თვალსაჩინოა, რომ ერაყის მოსახლეობის სადღამ ხუსეინის დიქტატურისგან დაცვის, მასიური განადგურების იარაღის გავრცელების და სხვა კეთილშობილ მიზნებთან ერთად ვაშინგტონმა აგრეთვე იმოქმედა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის რიგი არასახელმწიფოებრივი აქტორების ინტერესებიდან გამომდინარე: ტრანსნაციონალური კორპორაციები, ლობისტური ორგანიზაციები და აშ. არ შეიძლება გამოირიცხოს ის ფაქტიც, რომ ერაყში აშშ-ის სამხედრო კამპანია უკავშირდება ენერჯის ამონურვადი რესურსებით მდიდარ რეგიონში პოზიციების გამაგრების სურვილთან. საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა დანარჩენ ფაქტორებთან ერთად, ერაყში შესვლა და პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება აშშ-ისთვის აუცილებელი იყო, რათა გაეხსნათ ერაყის ბაზარი ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ რეალური და საიმედო კონტრაქტის დადების საშუალება ნავთობის საბადოების გადამუშავებასთან დაკავშირებით საღამ ჰუსეინის რეჟიმის პირობებში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რეგიონში ჩინეთს შესვლა ძალიან გართულდა, რაც შესაძლოა წარმოადგენდა ერაყში შესვლის ერთ-ერთ ირიბ მიზეზს. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, რიჩარდ ჩეინის

ამერიკული ენერგეტიკული სტრატეგია, მოიცავდა დებულებას, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო ერაყი კონტროლის ქვეშ მოექციათ, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ერაყი ნავთობის მარაგებით მსოფლიოში მესამე ადგილზეა.

ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროსაც კი, როდესაც გადანყდა ერაყიდან სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა, აშშ-მა არ დაკარგა უპირატესობას ნავთობის ზონების კონტროლის მხრივ. ვაშინგტონისთვის ერაყის სამხედრო ოპერაციების მთავარი შედეგი გახდა ჩინეთის ენერგეტიკული შესუსტება, რადგან ის ძალიან იყო დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ენერგომატარებლებზე. ამ რეგიონში აშშ-ის მოქმედებათა უმრავლესობა ამა თუ იმ დოზით მიმართულია ჩინეთის ენერგეტიკული ამბიციების შეკავებისკენ და საკუთარი ზეგავლენისა და, შეიძლება ითქვას, ლიდერული პოზიციების შენარჩუნებისკენ რეგიონში, აგრეთვე ერაყში, ავღანეთში, ცენტრალურ აზიაში პოზიციების გაძლიერებისკენ, ხორმუზის სრუტის კონტროლისკენ და აშ.

სხადასხვა უცხოელი ანალიტიკოსი ავღანეთის სიტუაციასაც ანალოგიურ ჭრილში განიხილავენ. ვაშინგტონმა გამოიყენა ანტი-თალიბური კამპანია, ცენტრალურ აზიაში მისი პოზიციების გასაძლიერებლად. ამასთანავე, ავღანეთზე კონტროლის დამყარება შესაძლებელს გახდიდა თურქმენეთიდან გამსადენის მშენებლობას ინდოეთის ზღვისკენ, ავღანეთის და პაკისტანის გავლით (ვ. სინგერი, 2008).

ცალკეულ ყურადღებას იმსახურებს ირანთან ურთოერთობები, რომელიც პერსპექტივაში შეიძლება გახდეს სერიოზული რეგიონული ლიდერი. ენერგომატარებლების დიდი მარაგების ფლობით, აგრეთვე სერიოზული სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით, ირანი სრულიად სამართლიანად იწვევს აშშ-ის და მისი მოკავშირეების სიფრთხილეს. აშშ-ში სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური ლობი ცდილობს მიაღწიოს მკაცრი ზომების გატარებას ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ. ირანის

მცდელობა განავითაროს თანამედროვე სარაკეტო-ბირთვული ტექნოლოგიები და შეიარაღება და აშშ-ის შესაძლებლობა ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დესტაბილიზაცია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, აყენებს თეირანსა და ვაშინგტონს ურთიერთსაინანაღმდეგო ფლაგებზე, მათ შორის ენერგეტიკულ სფეროში ლიდერობისთვის.

აშშ-ის და ირანის ურთიერთობებზე ვითარდება ენერგეტიკული ფაქტორის გათვალისწინებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ირანი აწარმოებს აშშ-თან არაკოორდინირებულ პოლიტიკას მსოფლიო ენერგეტიკაში. ამას გარდა, ირანს, მისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, შეუძლია ნებისმიერ დროს ენერგეტიკული და გეოპოლიტიკური კუთხით დესტაბილიზაცია გამოიწვიოს აშშ-ისთვის მნიშვნელოვან რეგიონში.

ანალიზმა აჩვენა, რომ ორმუხის სრუტის გარდა, აშშ-ს ბევრი ენერგეტიკული ინტერესი გააჩნია ირანში. უპირველეს ყოვლისა, აშშ გრძელვადიან პერსპექტივაში დაინტერესებულია ირანიდან ნავთობისა და გაზის საკმაოდ დიდი მარაგების შესყიდვით. როგორც ერაყის შემთხვევაში, აქაც აშშ ცდილობს არ დაუშვას მისი ეკონომიკური კონკურენტის, ჩინეთის შესვლა ამ ქვეყანაშიც. (ბ.ს. ლუკზინი, 2011) ამას უნდა დაემატოს ის ფაქტიც, რომ ინდოეთიც დაინტერესებულია ირანიდან გაზსადენის გაყვანით. აქვე, აღსანიშნავია რუსეთის გეგმები ირანთან დაკავშირებით, რომელიც ცდილობს ბუნებრივი აირის მომპოვებელი ქვეყნების ოპეკის მსგავსი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც მონოპოლიას დაამყარებდა ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგებზე.

აშშ-ს ირანში საკმაოდ ბევრი ენერგეტიკული მიზანი გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონი გრძელვადიან პერსპექტივაში დაინტერესებულია მიიღოს ნავთობისა და გაზის სერიოზული მარაგები ირანიდან. როგორც ერაყის შემთხვევაში, ირანშიც აშშ ცდილობს ხელი შეუშალოს ჩინეთს, რომ მიიღოს ნავთობი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნავთობმომპოვებლური რეგიონიდან. ამას შეიძლება დაემატოს ინდოეთისთვის ხელის შეშლა, რათა სიცოცხლეში მოაქციოს

ირანიდან გაზმსადენის მშენებლობის განხორციელების გეგმები, აგრეთვე რუსეთის გეგმების ჩაშლა გაზის ოპეკის ჩამოყალიბების მხრივ, ორგანიზაცია, რომელიც პერსპექტივაში მოიცავს ბუნებრივი აირის ყველაზე დიდ მარაგებს, რომელიც კონტროლს დაამყარებს ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგებზე.

აშშ-ისთვის სერიოზული საფიქრალი იყო ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე ჩინეთის ან ინდოეთის შეღწევისა და დამკვიდრების ალბათობა. ახლო მომავალში შესაძლოა რეგიონი კვლავ გახდეს ჩინეთისა და ინდოეთის ინტერესის სფერო, რამაც შესაძლოა შეიარაღების რბოლა და/ან სამხედრო კონფლიქტი გამოიწვიოს (მ. კლერი, 2009). ამასთანავე, რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ შორეულ გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ჩინეთსა და ინდოეთს გააჩნია სპარსეთის ყურეში შეღწევის სხვა გზებიც.

2.2 აშშ-ის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში

ახლო აღმოსავლეთის ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულება აიძულებს აშშ-ს მოახდინოს იმპორტის გზების მიმართულებების დივერსიფიცირება. ეს, ეროვნული უსაფრთხოების სხვა მოთხოვნილებებთან ერთად, აიძულებს ვაშინგტონს ყურადღება მიაქციოს ცენტრალურ აზიასა და კასპიის ზღვის აუზს.

ახლო აღმოსავლეთის გარდა, აშშ აგვრეთვე ცდილობს შეაღწიოს ცენტრალურ აზიაში, სადაც მისი ენერგეტიკული ინტერესები ეწინააღმდეგება რეგიონში დაინტერესებული სხვა ქვეყნების ინტერესებს, როგორცაა, მაგალითად, რუსეთი და ჩინეთი. ცენტრალურ აზიასთან მიმართებით აშშ-ის სტრატეგია მოიცავს რამდენიმე მიზნის მიღწევას:

პირველი - აშშ-ს და მის მოკავშირეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ რეგიონის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ენერგორესურსებზე წვდომა, რაც მათ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას მისცემდა.

მეორე - აშშ-მა აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას, რეგიონის ქვეყნებში, რომლებიც მოიცავენ ტერორიზმის გავრცელების კერებს, აგრეთვე აშშ-მა უნდა მოახერხოს და შეინარჩუნოს რეგიონალური სტაბილობა ე.წ. „არასტაბილურობის სარტყელის“ ზონაში.

და მესამე - აშშ-ის საგარეო პოლიტიკამ მართვადი უნდა გახადოს ამბიციური და რეგიონში სულ უფრო აქტიური პოზიციების მქონე, მაგრამ პოტენციურად არასტაბილური ჩინეთის ზრდა.

ამას გარდა, ვაშინგტონის აზრით აშშ-მა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა „შეაკავოს სხვა სახელმწიფოების ამბიციები, რომლებიც ცდილობენ რეგიონში დომინანტური პოზიცია მოიპოვონ, მათ შორის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ირანის და სულ უფრო ძლიერი ინდოეთის ამბიციები“ (აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, 2017).

საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, საერთაშორისო დონეზე აშშ აქტიუად ცდილობს მისი სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების დაცვასაც. ევროპისათვის ბუნებრივი აირის იმპორტისა და რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ახალი ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად აშშ-მ მუშაობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, რაც პირველ რიგში კასპიის ზღვის რეგიონში ნავთობისა და გაზის მოპოვებასა და ევროპაში მის შემდგომ ტრანსპორტირებას ისახავდა მიზნად. უკვე მომდევნო წლებში, აშშ Nabucco-სა და TANAP -ის პროექტებს აქტიურად უჭერდა მხარს [ნ. ჩიტაძე, გვ. 113] და მიუხედავად იმისა, რომ პროექტი Nabucco შეწყდა, ეს არ იყო ანპრობებული აშშ-ის უმოქმედობით. პირიქით, აშშ ბოლომდე ყვლანაირ მხარდაჭერას აღუთქვავდა ევროპულ პარტნიორებს პროექტის განხორციელებაში.

თავად ენერგომომხმარებელი ქვეყნების ინტერესები გულისხმობს მომპოვებელი ქვეყნის მონოპოლიისგან დაცვას, და რესურსების სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციას ანიჭებს უპირატესობას. ამ გზით კონკურენტული საბაზრო

ფასების ფორმირება ხდება. სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის ძირითადი მომხმარებელი ქვეყნების ჯგუფს წარმოადგენს თურქეთი და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ამიტომ ისინი დიდ ინტერესს ამჟღავნებენ ალტერნატიული მიწოდების საშუალებების შემდგომი განვითარების მიმართ. კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების გზების დივერსიფიკაციას და სატრანზიტო პოტენციალის მონოპოლიზებისაგან დაცვას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები. მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანმა სსრკ დაშლის შემდეგ, 1994 წელს მოახერხა და სწორედ აშშ-ს, თურქეთის და ევროკავშირის ქვეყნების თანადგომით ხელი მოაწერა ე.წ. „საუკუნის კონტრაქტს“, რომლის თანახმადაც ათ დასავლურ მულტინაციონალურ კომპანიას (BP, Amoco, Unocal, Statoil, Ramco, Exxon Mobil და სხვ.) მიეცათ შესაძლებლობა მოეხდინათ კასპიის ენერგეტიკული რესურსების შესწავლა ექსპლუატაცია. კონტრაქტის საფუძველზე აზერბაიჯანი და საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანები გახდნენ კასპიის ზღვის ენერგომტარებლებისათვის. 1999 წლიდან აზერბაიჯანის შირაქის ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე საქართველოზე გამავალი ბაქო-სუფსას ნავთობსადენით გადის. 2006 წლიდან კი ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელსაც გადააქვს აზერბაიჯანის შირაქისა და გუენეშლის ნავთობი ხმელთაშუაზღვისპირეთის პორტ ჯეიჰანამდე, 2 შემდეგ ევროპულ და სხვა საერთაშორისო ბაზრებამდე. ამავე დერეფანში მდებარეობს ბაქო-თბილისი-ერზრუმის სატრანზიტო გაზსადენიც, რომელსაც 2006 წლიდან აზერბაიჯანის შაჰ დენიზის გაზის ტრანსპორტირებას ახდენს თურქეთში. შაჰ დენიზის აზერბაიჯანის საბადოზე მეორე ფაზის მოპოვების დაწყებასთან ერთად დაგეგმილია ტრანსადრიატიკული გაზსადენის მშენებლობა, რომელიც თურქეთის გავლით ევროკავშირის ქვეყნებს - საბერძნეთსა და იტალიას მოამარაგებს.

2 დღეში 1 მლ ბარელის გამტარობით, და დამატებითი გამაძლიერებელი ინფრასტრუქტურის დახმარებით შეუძლია მოახდინოს 1.8 მლ ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება 5 გაზსადენის მშენებლობა უკვე დაწყებულია და წინასწარი მონაცემებით 2020 წლისათვის

ამოქმედდება. მშენებლობის დასრულების შემდეგ ეს პროექტი შექმნის ტრანს-ევროპული ენერგეტიკული ქსელების სამხრეთ ენერგეტიკულ კორიდორს. (თ. პატარაია, ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის).

ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის სტატისტიკის მიხედვით, 2009 წელს ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან იმპორტირებულ იქნა 38 მილიონი ბარელი ნავთობი, ძირითადად ორი ქვეყნიდან - აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან [აშშ ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაცია, დამოუკიდებელი სტატისტიკა და ანალიზი, 2009]. და თუ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ზეგავლენა ეჭვგარეშეა, 2005 წლიდან მოყოლებული ცენტრალური აზიის რეგიონში ისახება სამი აქტორის წინააღმდეგობა - აშშ, ჩინეთი და რუსეთი. ამ რეგიონის ხარჯზე ეროვნული ენერგოუსაფრთხოების ინტერესის უზრუნველყოფის მცდელობების, ტერორიზმთან ბრძოლის მისი მნიშვნელობის და ჩინეთის შეკავების პერსპექტივები აყენებს ცენტრალურ აზიას აშშ-ის საგარეო და სამხედრო პოლიტიკის პრიორიტეტების რიცხვში. ამას გარდა, აშშ-მა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა „შეაკავოს სხვა სახელმწიფოების ამბიციები, რმლებიც ცდილობენ რეგიონში დომინანტი პოზიციების მოპოვებას, მათ შორის მებრძოლი ირანი და სულ უფრო ძლიერი და განვითარებადი ინდოეთი“ [ნ. ნურკოვი, 2007]

გლობალიზაციის კანონების შესაბამისად, ამერიკულმა ტრანსნაციონალური კორპორაციებმა დაიწყეს ცენტრალური აზიის ტერიტორიაში შესვლა, სადაც ცდილობენ გააუჯობესონ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპაში ნავთობისა და გაზის შეუფერხებლად მიწოდების მიზნით. ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ირანის გავლით იყო და რჩება შეუძლებელ ფაქტორად, რუსეთის ტერიტორია გამიზნულად გამოირიცხება სატრანზიტო სახელმწიფოების სიიდან, რადგან არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი გამოიყენებს ენერგეტიკულ ფაქტორს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება,

რათა აშენებულ ყოფილიყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. აშშ-ის აქტივობა ამ რეგიონში ძალიან თვალსაჩინოა. აზერბაიჯანში ყალიბდებოდა სპეციალური დანიშნულების ძალების და სამხედრო ბაზები, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ ცენტრალური აზიის მეზობელ კასპიის რეგიონში ენერგოტრანზიტის უსაფრთხოება, აგრეთვე ხორციელდებოდა პროგრამა „კასპიის დარაჯი“ (ა.ფ. კლიმენკო, 2007). 2005 წლის 11 აპრილს გაზეთ „უოლ სთრიტ ჯორნალში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ეწერა, რომ აშშ გეგმავს დახარჯოს ამ პროგრამაზე 100 მილიონი აშშ დოლარი. ეს უზარმაზარი თანხა უთუოდ აღნიშნავს რეგიონის მნიშვნელობას აშშ-ის ენერგეტიკული და სამხედრო უსაფრთხოებისთვის.

აღნიშნულ რეგიონში აშშ-ის პოლიტიკა მიმართულია კასპიისპირა სახელმწიფოების დემოკრატიზაციისკენ, რადგან აშშ-სა და მის მოკავშირეებს ბევრად გაუადვილდებოდათ დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რომელიც დაფუძნებული იქნება ნდობისა და ღია ბაზრის პრინციპზე. ამრიგად, აშშ მიაღწევს მთავარ მიზანს, თავისუფლად გაიტანს ცენტრალური აზიის ენერგორესურსებს მსოფლიო ბაზარზე.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა აშშ საგარეო პოლიტიკაში, მათ შორის ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის მიმართ. ტერორიზმის ხელშეწყობის საკითხში პოტენციური წვლილისა და ენერგორესურსების დიდი მარაგების გამო, ახლო აღმოსავლეთის შემდეგ რეგიონი მეორე ევრაზიული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტია აშშ-თვის. 2002 წელს აშშ საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის კომიტეტმა განაცხადა, რომ 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს „კასპიისა და სპარსეთის ყურეებს შორის ნავთობით მდიდარ რეგიონებზე კონტროლის გაძლიერება და შესაბამისი ენერგეტიკული ნაკადების მოძრაობის მარშრუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ (მსოფლიო წესრიგი აშშ-ის ტერაქტების შემდეგ, 2002). რეგიონში პოზიციების გამაგრების შემდეგ, აშშ-მა მიაღწიეს რამდენიმე

მიზანს, გარკვეული დონით შეზღუდეს რუსეთის ზეგავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მიუახლოვდნენ ჩინეთს და მიუახლოვეს საკუთარი ტაქტიკური ავიაცია მის ბირთვულ არსენალებს, მოიპოვეს შედარებითი ზეგავლენა რუსეთისა და ირანის ურთიერთობებზე, რომლებიც მუდმივად ინვევენ შემფოთებას ვაშინგტონში.

თურქმენეთი და უზბეკეთი მდიდარია ბუნებრივი აირით. ეს სახელმწიფოები მოექცნენ აშშ-ის ყურადღების არეალში, რომელიც აქტიურად ცდილობს არ დაუშვას ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების შებლაღვა.

თუმცა ცენტრალურ აზიაში აშშ-ის ინტერესებს უპირისპირდება რუსეთისა და ჩინეთის ინტერესები, რომელთათვისაც, აგრეთვე, ცენტრალური აზია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. ვაშინგტონის გეგმებს გზაზე ეღობება შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია.

ამიტომაც, სამხედრო-პოლიტიკური ასპექტებიდან ცენტრალურ აზიაში აშშ-ისთვის ყველაზე მისაღები იქნება დემოკრატიზაციისკენ მიმართული ხავერდოვანი რევოლუციების მხარდაჭერა, რადგან ადგილობრივ ქვეყნებში პრო-დემოკრატიული, პრო-დასავლური ხელისუფლების მოსვლა გააიოლებდა რეგიონში აშშ-ის შესვლას და დამკვიდრებას. „დემოკრატიები ერთმანეთს არ ეომებიან“ პრინციპებიდან გამომდინარე, ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუადვილდებოდა ამ რეგიონებში გრძელვადიანი, სტაბილური სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება.

ამრიგად, ვაშინგტონი ატარებს სერიოზულ სამუშაოებს ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ცენტრალურ აზიასა და კასპიის ზღვის რეგიონში. სხვადასხვა აქტორების ინტერესების კვეთა ამ რეგიონში ბუნებრივია, და აშშ, რომელიც აქტიურად მხარს უჭერს გლობალიზაციის პროცესს, ცდილობს მოიპოვოს პრეფერენციები ენერგეტიკულ სფეროში და მაქსიმალურად აიღოს ნავთობისა და გაზის ნაკადების კონტროლის საკითხები საკუთარ თავზე.

2.3 აშშ-ის პოლიტიკა არქტიკის რეგიონში

ტრადიციული რეგიონების გარდა მსოფლიო პოლიტიკური აქტორების წინააღმდეგობის ზონას წარმოადგენენ აგრეთვე ახალი რეგიონები. ამ ეტაპზე, ერთ-ერთ ამგვარ აქტუალურ რეგიონს წარმოადგენს არქტიკა. გავანალიზოთ აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა არქტიკის რეგიონში მისი ენერგეტიკული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.

მსოფლიო ინდუსტრიული მენარმეობის და გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე, ისეთი რეგიონი, როგორც არქტიკა, სულ უფრო ხშირად ხდება მსოფლიო და რეგიონალური ძლიერი სახელმწიფოების ყურადღების არეალში. ეს უკავშირდება უნიკალურ გეოგრაფიულ მდებარეობას და ენერგომატარებლების დიდ მარაგებს. ტექნოლოგიური პროცესი და გლობალური დადობობა ამ რეგიონში ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებას რენტაბელურს და რეალურს ხდის.

უფრო მეტიც, არქტიკას გააჩნია აგრეთვე სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. მის ტერიტორიაზე გადის ყველაზე მოკლე საჰაერო და საზღვაო მარშრუტები, რომლებიც აკავშირებენ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევრაზიას. ეს ყველაფერი ხსნის არქტიკისპირა სახელმწიფოების სამხედრო აქტივობას.

არქტიკა სულ უფრო მიმზიდველი ხდება აშშ-ის, რუსეთისა და ევროპის რიგი ქვეყნებისთვის. ეს დაკავშირებულია უნიკალურ გეოგრაფიულ მდებარეობასთან და ენერგორესურსების უდიდეს მარაგებთან. ნავთობის დაუზვერავი მსოფლიო მარაგების 13% და მსოფლიო შეფასებული ბუნებრივი აირის 30% არქტიკის რეგიონზე მოდის (საერთაშორისო უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, 2014) ტექნოლოგიური პროგრესი და გლობალური დადობობა არქტიკაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას სულ უფრო რეალურს და პერსპექტიულს ხდის.

თითოეულ არქტიკულ აქტორს გააჩნია საკუთარი გეგმები არქტიკის ათვისებასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადას, დანიას, რუსეთს, ნორვეგიას და ჩინეთსაც კი გააჩნიათ საკუთარი პოლარული სტრატეგიები, რომელთა მიხედვითაც მათ უნდა განახორციელონ არქტიკის რეგიონში შესვლა და იქ დაფუძნება.

ევროკავშირმა შეიმუშავა მისი არქტიკული პოლიტიკა 2008 წელს, 2009 წელს რუსეთმა მიიღო დოკუმენტი არქტიკის რეგიონში გასატარებელი პოლიტიკის შესახებ 2020 წლამდე და გრძელვადიან პერსპექტივაში, 2009 წლის კანადის ჩრდილოეთის სტრატეგია მოიცავს რეგიონში სანვრთნელი ქვედანაყოფის მომზადებას და საზღვაო იურისდიქციის გაფართოებას. ამას უნდა დაემატოს აშშ-ის დოკუმენტი, აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების საგზაო რუკა („US Navy Arctic Roadmap“), რომლის ნაწილსაც მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“ და გამოქვეყნდა 2009 წლის 10 ნოემბერს. მასში ნათქვამია, რომ არქტიკის რეგიონის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გაადვილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო კონფლიქტებიც კი, რომელიც დაკავშირებული იქნება ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან.

დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია იმის შესახებ, რომ გარკვეული მონაცემებით, უკვე 2030 წლისთვის არქტიკა შესაძლოა დიდწილად გათავისუფლდეს ყინულისგან. ამას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სისტემაზე, ტურიზმზე, მეცნიერებაზე და შეუძლია ძირფესვეულად შეცვალოს მსოფლიო სატრანსპორტო სისტემა. აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების კომანდორები აღნიშნავენ, რომ ასეთ სიტუაციაში დადებითი მხარე ყოველთვის არ არის მკაფიო და აგრეთვე ესაზღვრება იმ გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება წარმოქმნილ იქნას ბუნებრივი რესურსების ფლობის გამო წარმოჩენილი კონფლიქტის გამო. (აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების საგზაო რუკა, 2009)

ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი სახელმწიფოები გამოხატავენ არქტიკაზე მათ უფლებებს - აშშ, კანადა, რუსეთი, დანია, ნორვეგია და ბოლო დროს ჩინეთიც კი.

ყველაფერი ეს არქტიკას პოტენციალურ კონფლიქტურ რეგიონად აქცევს, სადაც ერთმანეთს შეეჯახნენ ან შეეჯახებიან მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ენერგეტიკული და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები. აშშ-იც არ არის გამონაკლისი ამ კუთხით. იგი გეგმიურად ნელ-ნელა ახორციელებს ამ სფეროში სერიოზული უპირატესობის მოპოვებისთვის აუცილებელ ქმედებებს.

ენერგეტიკული, ე.ი. ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, არქტიკას გააჩნია აგრეთვე სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა. მასზე გადის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევრაზიის კონტინენტების დამაკავშირებელი ყველაზე მოკლე საჰაერო და საზღვაო გზები. მეტიც, რეგიონი ძალიან მოსახერხებელია ბალისტიკური რაკეტების განლაგებისთვის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სისტემების ელემენტების დანერგვისა და დამონტაჟებისთვის. გლობალური დათბობის მეშვეობით ქვეყნებს საშუალება მიეცემათ იმოქმედონ რეგიონში სეზონის მიუხედავად. ეს ხსნის არქტიკისპირა ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ აქტუალობას ამ რეგიონში პოზიციების გასამყარებლად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ის, კანადის, რუსეთის და სხვა ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების შეჯახება არქტიკის რეგიონში აქცევს მას სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის პოტენციურ წყაროდ.

ხუთი სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს არქტიკისპირად: კანადა, აშშ, რუსეთი, ნორვეგია და დანია. საერთაშორისო სამართალს მიხედვით, თითოეულ მათგანს გააჩნია 200 მილიანი ეკონომიკური ზონა, თუმცა კონტინენტალური შელფის ზუსტი ზომები არ არის ცნობილი, რაც წარმოადგენს ამ სახელმწიფოების კამათის მიზეზს.

არქტიკაში საზღვრების დემილიტარიზაციის საკითხი მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების ხედვაშია და უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე. გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ მიღებული და რატიფიცირებულია პრაქტიკულად არქტიკისპირა ყველა სახელმწიფოს მიერ, აშშ-ის გარდა.

ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების დემარკაციის სხვადასხვა მიდგომა არსებობს: „სექტორიალური“, „შუა/საშუალო ხაზოვანი“, „საერთო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით“ და სხვა. თითოეული მათგანი ხელსაყრელია რომელიმე ერთი სახელმწიფოსთვის და მიუღებელია დანარჩენებისთვის.

ამგვარად, ეკონომიკური ზონების დელიმიტაციის საკითხი ღია რჩება, რაც თავისთავად არ უწყობს ხელს დაძაბულობის განმუხტვას და წარმოადგენს სამხედრო შეტაკების პოტენციალურ მიზმს.

მართალია, ამ ეტაპზე მოლაპარაკებების მიღწევა დიპლომატიური და ეკონომიკური საშუალებებითაა შესაძლებელი, მაგრამ არ გამოირიცხება, რომ რაღაც ეტაპზე, საჭირო იქნება აგრეთვე სამხედრო მზადყოფნა, როგორც ფართომასშტაბიანი კამპანიისთვის, ისე ლოკალური დაპირისპირების აღსაკვეთად.

თავი III

აშშ-ის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების სცენარები და პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით

არქტივის გარდა არსებობს მთელი რიგი რეგიონებისა, სადაც პოტენციურად შესაძლებელია მოხდეს შეიარაღებული შეტაკებები საერთაშორისო ურთიერთობების სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებს შორის.

3.1 სამხედრო ძალის გამოყენების ვარიანტები აშშ-ის ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების დასაცავად

განვიხილოთ ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ინტერესთა კვეთის შესაძლო ფაქტები სხვადასხვა რეგიონში და აშშ-ის და სხვა ქვეყნების მიერ სამხედრო ძალის გამოყენების ვარიანტები.

სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა - ეს არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნება ენერგეტიკულ სფეროში სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების დაცვისას, აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ინტერაქცია, რომელიც არეგულირებს მოცემულ ურთიერთობებს.

მსოფლიოში ენერჯის მოხმარების ტენდენციებიდან გამომდინარე ადვილია დავინახოთ, თუ რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია აშშ-ის ნაირი წამყვანი ქვეყნისთვის სამხედრო ძალის მზადყოფნაში ყოლა ენერგეტიკული ინტერესების დასაცავად. ამისათვის საკმარისია შევისწავლოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რომელიც ასახავს დედამიწის მოსახლეობის ზრდის დინამიკას და გარემოდან ამოღებული ენერჯის რაოდენობას:

ცხრილი 1: დედამიწის მოსახლეობის ზრდის დინამიკა და გარემოდან ამოღებული ენერჯის რაოდენობა.

მაჩვენებლები	წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე			ჩვენი წელთაღრიცხვის					
	2800	1600	400	40	160	185	190	195	199
მოსახლეობა, მილიონი ადამიანი	40	60	150	205	580	1241	1634	2530	5776
ენერჯის მოხმარება, მილიონი ტუტ/წელიწადში	5	10	26	36	128	496	1336	3292	13625
ენერჯომოხმარება:									
- ტ.უ.ტ./ადამიანი/წელიწადში	0,12	0,16	0,17	0,18	0,22	0,40	0,82	1,30	2,36
- გუდ/ადამიანი/წელიწადში	3,5	4,7	5,1	5,2	6,4	11,7	23,9	38,1	69,1

ენერჯეტიკული რესურსების გამოყენების საერთო მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ:

1) შემდეგი 10-20 წლის მანძილზე ნავთობისა და ბუნებრივი აირის გლობალური მოხმარება მუდმივად გაიზრდება [ა.მ. თელიშჩენკო, 2005, 59]. ზრდის ტემპები დამოკიდებული იქნება მრავალ ფაქტორზე, როგორცაა ენერჯორესურსების ფასების წამყვანი მომხმარებელი-სახელმწიფოების პოლიტიკა და ა.შ. მოთხოვნა გადააჭარბებს შეთავაზებას, რაც უეჭველი გამოიწვევს კონკურენციას, მეტოქეობას და წინააღმდეგობებს ან საერთაშორისო არენაზე სხვადასხვა მოთამაშეების დაპირისპირებას.

2) ენერჯეტიკული კომპანიების გაფართოება მოხდება სახელმწიფოების აქტიური ხელშეწყობით, რომლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური, აგრეთვე სამხედრო საშუალებებით ეროვნული კომპანიებისთვის უზრუნველყონ ე.წ. „მზანე კორიდორი“ მათთვის საინტერესო რეგიონში შესაღწევად.

3) ბიზნეს ინტერესების გარდა, ენერგორესურსებს მთავარ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფოებრივი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან როგორც საკუთარი თავის უზრუნველყოფისვის საჭირო რაოდენობის ენერგორესურსების მომარაგებით, აგრეთვე მსოფლიოში საკუთარი პოზიციების განმტკიცებით და მცდელობით, რათა დომინანტი პოზიცია მოიპოვონ კაცობრიობისთვის მნიშვნელოვან ამ სფეროში.

ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონებში მდგომარეობის განვითარების ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხედრო კონფლიქტების გაჩაღება სრულიად შესაძლებელია და ამგვარი დაპირისპირებები შესაძლოა იყოს რამდენიმე სახის: საზღვრისპირა, სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სპეციფიკა, რაც ზეგავლენას მოახდენს პოტენციურ ინტენსიურობასა და ცხელი წერტილების წარმოჩენის ალბათობის დონეზე.

საზღვრისპირა კონფლიქტები შესაძლოა გაჩაღდეს რამდენიმე მეზობელი სახელმწიფოს შორის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საზღვისპირა ან საზღვაო აკვატორიალში არსებული საბადოების გადამუშავებით. თანამედროვე მსოფლიო გეოგრაფიული რეალიები იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო სისტემაში ქვეყნების საზღვრების დიდი ნაწილი დღემდე არ არის დემარკირებული. ძირითადად ეს შეეხება საზღვაო საზღვრებს. და თუ ერთი სახელმწიფო დაინყებს ნავთობის ან ბუნებრივი აირის მოპოვებას, წინა პლანზე წამოიწევს ამა თუ იმ საზღვაო საბადოს გამოყენების უპირატესი უფლების პრობლემა.

მსოფლიოში ამ კუთხით მთელი რიგი პრობლემური რეგიონები არსებობს, როდესაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთმანეთში ვერ იყოფს ერთ საბადოს და სადაც შეიარაღებული შეტაკებები სრულიად შესაძლებელია. ასეთ რეგიონებს წარმოადგენს: სამხრეთ/ჩრდილოეთ ფარსი (ირანისა და ყატარის საზღვარზე), კუნძულები აბუ მუსა, ტუნისის დიდი და პატარა კუნძულები სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილში (კონფლიქტი ირანსა და არაბთა გაერთიანებულ

საამიროებს შორის), სპარტალისა და პარასელის კუნძულები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში (ჩინეთის, ფილიპინების, ტაივანის, ვიეტნამის, მალაზიის, ბრუნეისა და ინდონეზიის კამათის საგანი), სენკაკუსა და დიაოუიდაოს კუნძულები (ჩინეთისა და იაპონიის პოტენციური კონფლიქტი) (ნ.ვ. მირონოვი, 2000).

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი გაჩენა პირდაპირ იშვიათად უკავშირდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგების არსებობასთან. სამოქალაქო ომები, ძირითადად, ჩნდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური მოტივებით, ხოლო ძალიან იშვიათად, და პრაქტიკულად არასოდეს - ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდების მიზნით. ამის მიუხედავად, მოვლენათა ამგვარი განვითარება შესაძლებელია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ერთი ქვეყნის შიგნით მებრძოლი საზოგადოებრივი ჯგუფების არსს და შემადგენლობას სხვადასხვა ტერიტორიებში ენერგეტიკული რესურსების არსებობიდან გამომდინარე.

ამასთან დაკავშირებით იკვეთება რამდენიმე ტენდენცია:

1. დიდი ენერგეტიკული რესურსების მარაგების არსებობა და სხვადასხვა ეროვნული ეკონომიკების დამოკიდებულობა რესურსის საერთაშორისო ბაზარზე მისი ექსპორტის კუთხით. ეს ერთგვარი „რესურსული წყევლა“ სხვადასხვა სახელმწიფოსთვის, რაც არეულობას და დესტაბილიზაციას იწვევს. ასეთი ქვეყნების მაგალითებია, ლიბია, იემენი, სირია, სუდანი, ერაყი.
2. მეორე ტენდენცია ნავთობითა და ბუნებრივი აირით მდიდარ ქვეყანაში შეიარაღებული პირების, დაჯგუფებებისა და ტერორისტული ორგანიზაციების არსებობაა, რომლებიც დაკავებულნი არიან არალეგალური მოქმედებებით. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივად, ენერგორესურსებით მდიდარ ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ სახით არსებობს ტერორისტული ფაქტორი ან სხვა არალეგალური შეიარაღებული ძალები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ან

თვითონ სახელმწიფოს, ან მის მეზობლებს. ამის მაგალითები ბევრია: ერაყი, ირანი, საუდის არაბეთი, მექსიკა, ვენესუელა, უზბეკეთი, თურქმენეთი.

3. მესამე, ეს არის სეპარატიზმის პრობლემა. ზოგიერთი ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონი, რომლებსაც გააჩნიათ დანარჩენი ქვეყნისგან განსხვავებული ეთნიკური თუ რელიგიური მახასიათებელი, პერიოდულად აცხადებენ დამოუკიდებლობის მიღების სურვილს და ამ მიზნით ახდენენ სხვადასხვა კონფლიქტის პროვოცირებას. მსგავსმა სიტუაციამ შესაძლებელია თავი წარმოიჩინოს ერაყში, სადაც რამდენიმე მკვეთრად განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი კონკრეტულ ტერიტორიებზეა კომპაქტურად განლაგებული.

4. მეოთხე ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები ნაკლებად სავარაუდოა თანამედროვე მსოფლიოში. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ბევრ ქვეყანას აქვს სერიოზული სამხედრო პოტენციალი. ისეთი დიდი მოთამაშეების გარდა, როგორცაა აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავს ირანს, კორეის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კორეის რესპუბლიკას, ისრაელს, აგრეთვე ნატოს, როგორც ერთადერთ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. თითოეულ ამ სახელმწიფოს გააჩნია პარტნიორული უერთიერთობები ერთმანეთთან, თუმცა ამასთანავე იბრძვიან რეგიონალური თუ ლიერდული პოზიციების ფასაკავებლად.

თანამედროვე ეკონომიკა ვითარდება ისე, რომ კაპიტალის, სამუშაო ძალის და სხვა საწარმო ფაქტორების გამო ვერ ხერხდება სახელმწიფოებს შორის ღია სამხედრო დაპირისპირება. ეს პირდაპირ კავშირშია აგრეთვე ენერგომატარებლების განაწილებასა და ტრანსპორტირებასთან. მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა დამოკიდებულია იმპორტირებულ ნავთობსა და ბუნებრივ აირზე იმდენად, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ნავთობთან მიმართებით ფაქტობრივად ნაკლებსავარაუდოა.

თუ ნატოსა და რუსეთს შორის სამხედრო კონტრაქტაცია ნაკლებად სავარაუდოა, ჩინეთის ჩარევამ არქტიკის გაყოფის საქმეში შესაძლოა პირდაპირ გამოიწვიოს აშშ-ის, კანადის ან ნატოს წევრი ქვეყნების დაპირისპირება, მათი მხრიდან სამხედრო კონფლიქტის/ომის დაწყებას, მათ შორის ენერგორესურსების მოპოვებისა და მათი არხების გადანაწილების საქმეში (დ. მორანი და ჯ.ა. რასელი, 2009).

3.2 აშშ-ის მიმდინარე და დაგეგმილი პოლიტიკა ენერგოსაფრთხილების უზრუნველყოფის მიმართულებით

სამხედრო პოლიტიკა შეიძლება გახდეს სახელმწიფოს ენერგოსაფრთხილების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. ზოგიერთ შემთხვევაში იგი მიმართულია ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებში ზეგავლენის მოპოვებისკენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი - არსებული სტატუს-ქვოსა და უკვე მოპოვებული ისტორიული პოზიციების შენარჩუნებისკენ.

ენერგეტიკული უსაფრთხოება ხდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. მსოფლიოში ენერგორესურსების შეზღუდული და ამოწურვადი ხასიათიდან და დედამიწაზე მისი არათანაბარი გადანაწილებიდან გამომდინარე ენერგორესურსებისთვის ბრძოლა გაძლიერდება, რაც პერსპექტივაში შეიძლება აისახოს ახალ სამხედრო შეტაკებებში.

თუ ადრე ზეგავლენის სფეროებზე ბრძოლისას ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სამხედრო ძალაზე, თანამედროვე მსოფლიო რეალობიდან გამომდინარე ზეგავლენის სფეროების გაფართოება დიდწილად ითვალისწინებს სახელმწიფოს რესურსული ბაზების გაფართოებას. სამხედრო ძალის გამოყენების ალბათობა ასეთ სიტუაციაში იზრდება, რადგან ხელს უწყობს

ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელ რეგიონებზე დომინანტური პოზიციების მოპოვებას.

ოფიციალურ დოკუმენტებში და გამოსვლებში მოყვანილი ფორმულირებები ძალიან დადებითი და კეთილგანწყობილი ფრაზეოლოგიით გამოიხატება. ძალზედ საინტერესოა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების ფორმულირებები, რომლებიც იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორცაა „ენერგეტიკული დაპირისპირება“ ან „ენერგეტიკული კონკურენცია“ (აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სტრატეგია, 2009). ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი 2009 წელს წერს იმის შესახებ, რომ მიმდინარე ენერგეტიკულ კონკურენციას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგან ბევრი ქვეყნები დაიწყებენ ენერჯის ახალი წყაროების, სატრანსპორტო მარშრუტების ძიებას და ა.შ. (გლობალური ტენდენციები 2025, 2008). ამასთან დაკავშირებით აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებისთვის აუცილებელია არ დაუშვან ენერგეტიკის სფეროში ეროვნული ინტერესების შეზღავანა, აქტიურად იმუშაონ ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში ანალიტიკოსების აღზრდასა და მისი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ მოიპოვონ ინფორმაცია.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამხედრო ძალის გამოყენების პრობლემის და აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონცეპტუალური ხედვის განხილვისას უნდა მიმოვიხილოთ შემდეგი დოკუმენტი: „გლობალური ტენდენციები 2025: ტრანსფორმირებული მსოფლიო“, რომელიც შემუშავებულია ეროვნული სადაზვერვო საბჭოსა და ეროვნული დაზვერვის დირექტორის სამმართველოს მიერ.

მილსადენების პროექტების მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად ენერგომატარებლების დიდი ნაწილი ტრანსპორტირდება ზღვის გავლით. ეს რამდენადმე ზრდის სახელმწიფოთა ყურადღებას საზღვაო სატრანსპორტო მარშრუტებისა და თვითონ გემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. განსაკუთრებულად ეს აქტუალურია აზიისთვის, რომელიც გეოგრაფიული

მდებარეობიდან გამომდინარე ენერგორესურსების უდიდეს ნაწილს იღებს ზღვიდან. აზიის ქვეყნების მიერ სამხედრო-საზღვაო ძლიერების გაზრდამ პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სამხედრო შეიარაღების რბოლა, რომელშიც შეიძლება ჩათრეულ იყოს ამერიკის შეერთებული შტატები (გლობალური ტენდენციები 2025, 2008).

ძირითადი ცვლილებები აშშ-ის ენერგეტიკულ სტრატეგიაში 21-ე საუკუნის დასაწყისში მოხერხდა, როდესაც აშშ-ში ათვისებულ იქნა ენერგომატარებლების მოპოვების ახალი ტექნოლოგიები, პირველ რიგში, ფიქალის ფენების ჰიდროგაბურღვა. გაზის მოპოვების ახალი ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციას ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ფლობდნენ და ცდებოდაც ატარებდნენ, თუმცა ტექნოლოგიამ დასრულებული სახე სულ რამდენიმე წელია მიიღო. ეს არის ბურღვის ახალი სისტემა, რომელიც ვერტიკალურთან ერთად ჰორიზონტალურსაც მოიცავს, შემდეგ კი, ჰიდრავლიკური აფეთქების მეშვეობით, ფიქალში ბზარებს ჩნდება, საიდანაც ბუნებრივი აირი უკვე თავისუფლად გამოდის. ფიქალის გაზი დედამიწის წიაღში ღრმად არის განლაგებული და აშშ-ში მისი მარაგი დიდია. გარდა ამისა, 2008 წლიდან ქვეყანაში ნავთობის მოპოვება 50 პროცენტით გაიზარდა [ნ. ჩიტაძე, გვ.104].

ამ ყველაფერთან ერთად, ბოლო წლებში უფრო ეკონომიური განვითარების ზრდამ გამოიწვია ის, რომ თუ 2005 წელს ამერიკელები ქვეყნისთვის საჭირო ნავთობის 60 პროცენტის იმპორტს ეწოდნენ, 2013 წლისათვის ეს მაჩვენებელი 35 პროცენტამდე შემცირდა. 2005-2013 წლების განმავლობაში აშშ-ში ბუნებრივი აირის იმპორტი 32 პროცენტით, ხოლო ნავთობის - 15 პროცენტით შემცირდა, რამაც თავის მხრივ აშშ-ის საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირებაც გამოიწვია.

აშშ-ის მიერ დანერგილი ენერგოსაფრთხილების უზრუნველყოფის დარგში ინოვაციური მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა მეცათ აგრეთვე ენროპის სხვადასხვა ქვეყნებს. აღნიშნულმა სიახლემ დიდი ვნებათაღელვა და ძვრები

გამოიწვია მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე. ექსპერტთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფიქალი ნავთობისა და გაზის მოპოვება ძირფესვიანად შეცვლის ძალთა ბალანსს ენერგეტიკულ ბაზარზე, და ოპეკ-ზე და რუსეთზე დამოკიდებული ევროპა, როგორც იქნა განთავისუფლდება ენერგოსაფრთხილების „ბორკილებისგან“. თუმცა აქამდე ფიქალის ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიამ გაამართლა მხოლოდ აშშ-ში. აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის სააგენტოს პროგნოზებით 2015 წლისათვის აშშ-ის ნავთობმოპოვება 14%-ით გაიზრდებოდა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეუტერსის თანახმად, ამერიკაში ფიქალის ნავთობისა და გაზის ბუმის შესაკავებლად, საუდის არაბეთმა 2014 წელს მიიღო გადაწყვეტილება ნავთობზე ფასები 80 დოლარამდე შეემცირებინა [ნ. ჩიტაძე, 72 გვ]. ფიქალის გაზის მომავალს სკეპტიკოსები აშშ-შიც გამოუჩნდნენ. მათი აზრით, ამ ინდუსტრიაში "ბუმი" მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მსოფლიოში ნედლეულის ფასებზე, სახელმწიფო რეგულაციებსა და საზოგადოების მხარდაჭერაზე. უკანასკნელი გამოკითხვებით, ფიქალის გაზის მოწინააღმდეგეთა რიცხვი (რაც, ძირითადად, სეისმოლოგიური მოსაზრებებითაა განპირობებული) ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 38-დან 49%-მდე გაიზარდა.

სხვა რისკ-ფაქტორებს შორის ექსპერტები მსოფლიოს ეკონომიკურ ზრდის შენელებასაც ასახელებენ, რაც ენერგორესურსების გაიაფებას იწვევს და ინდუსტრიას აიძულებს, წარმოების ტემპები შეანელოს [bpn.ge; აშშ-ში ფიქალის გაზის წარმოების "ბუმია": ემუქრება თუ არა რუსულ ენერგოიმპერიას აღსასრული?!, 2013].

ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტის, მონაცემებით, მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში 1 ტრილიონი კუბური მეტრი ფიქალის გაზის მოპოვებაა შესაძლებელი. ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი მოხმარების შენარჩუნების პირობებში კი ეს მარაგი ამერიკის შეერთებულ შტატებს 45 წელიწადი ეყოფა.

ფიქალის გაზის წარმოებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მისი თვითღირებულებაა. თუ ტრადიციულად მოპოვებული ბუნებრივი აირის წარმოების თვითღირებულება 1000 კუბურ მეტრზე 20 დოლარს შეადგენს, ფიქალის გაზის წარმოების შემთხვევაში ეს თანხა დაახლოებით 100 დოლარია, თუმცა ამ სფეროს სპეციალისტების აზრით, ახალი ტექნოლოგიების ათვისებით ადვილად შესაძლებელია თვითღირებულების შემცირება. აქვე აღსანიშნავია, რომ გადასამუშავებელი ტექნოლოგიების ასათვისებლად მეცნიერები აქტიურ რეჟიმში მუშაობენ [<http://bfm.ge/fiqalis-gazi-msoflio-politikas-shecvlis/>; 2015].

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადადგა დიდი ნაბიჯები საკუთარი ენერგორესურსების მოთხოვნის ბაზრის თვითდაკმაყოფილების კუთხით, საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო მარაგებზე წვდომა მაინც აქტუალური რჩება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში.

დონალდ ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ განაცხადა, რომ აშშ აქცენტს გააკეთებდა ენერგეტიკის საკუთარ შიდა რესურსებზე, როგორცაა მაგალითად ქვანახშირის გამოყენება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში (ნიუ იორქ თაიმსი, 4 თებერვალი, 2018).

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ენერგორესურსები; მათ შორის 4/5 მურა და ქვანახშირზე მოდის (1,6 ტრლნ ტონა). ნახშირის შემცველ პროვინციებს ამერიკის ტერიტორიის დაახლოებით 1/10 უკავიათ [ნეიძე, ვ. 2005. გვ. 205]. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აპალაჩის, პენსილვანიის, ილინოისის და სხვ. აუზები. დიდი ვაკეების ჩრდილოეთში მდებარეობს მურა ნახშირის ყველაზე მძლავრი აუზი ფორტ-იუნიონი. კლდოვან მთებში დიდია იუნიტას აუზი; ბევრია ნახშირი ალასკაზეც. ნახშირის მარაგით აშშ-ს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ჩინეთისა და რუსეთის შემდეგ.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გაზის ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, აშშ-ში ნავთობის მოხმარება და შესაბამისად, მისი იმპორტი მცირდება. თუ 2006 წელს აშშ-ში თვეში 12 მილიონი ბარელი შემოჰქონდათ, 2012 წელს ეს მონაცემი ორჯერ შემცირდა. 2005 წელს აშშ-ს მოხმარებაში იმპორტი 60 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს - 45 პროცენტს. ასეთი ტემპებით, ექსპერტთა ვარაუდით, აშშ მალე საკუთარ თავს ენერგორესურსებით დამოუკიდებლად უზრუნველყოფს [ნ. ჩიტაძე, გვ. 110]

მიხედვად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება და განსაკუთრებით მსვილი ნავთობმომპოვებლები უკმაყოფილები დარჩნენ აღნიშნული განცხადებით. იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ში ისეთ მძლავრ ინდუსტრიას, როგორცაა ენერგო-კორპორაციები, ჰყავს საკმაოდ ძლიერი ლობი, ნავთობის რესურსების ისე ადვილად ჩანაცვლება, როგორც ამას აშშ-ის პრეზიდენტი გაიხილავს, შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, ახორციელებს თუ არა აშშ ნავთობისა და გაზის იმპორტს ქვეყანაში, ამერიკული კორპორაციები, რომლებიც დამკვიდრებულნი არიან ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის რეგიონებში, განაგრძობენ საკუთარ ეკონომიკურ აქტივობებს, რაშიც მათ აქტიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ.

ამერიკის შეერთებული შტატების 2017 წლის „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“ ეფუძნება პოლიტიკას „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, ამერიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური უპირატესობის შესანარჩუნებლად, საჭიროა ოთხი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესის დაცვა, ესენია ამერიკელი ხალხის, სამშობლოსა და ამერიკული ცხოვრების წესის დაცვა; ამერიკულ კეთილდღეობაზე ზრუნვა; ძალის მეშვეობით მშვიდობის შენარჩუნება; ამერიკის გავლენის გაზრდა.

ახალი სტრატეგიის მიხედვით ამერიკის ძლიერების საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკა. ტრამპი ამერიკულ ეკონომიკას აკავშირებს

ძალასთან/სიძლიერესთან, რადგან ამერიკის ეკონომიკური ძლიერება არის ამერიკის ძლიერება. ეკონომიკური ძალა იყო ამერიკის ძლიერების, 1-ელ და მე-2 მსოფლიო ომებსა და ცივი ომის პერიოდში წარმატების მიზეზი. „ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოება“ (დ. ტრამპი, მარტი, 2018).

ყველაზე მეტი კრიტიკა „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის“ იმ ნაწილმა დაიმსახურა, სადაც საუბარია ამერიკის მიერ ენერგო-დომინანტი ქვეყნის სტატუსის მოპოვებაზე. ის, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ნაწილადაა გაგებული, ბევრ ახსნას არ საჭიროებს, ასევე, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ბერკეტად იყენებს რუსეთი ენერგო რესურსებს - გასაგებია ამერიკელთა მოტივაცია. თუმცა, სტრატეგიაში ნათლად არ არის წარმოდგენილი ამ მიზნის მიღწევის რეალური შესაძლებლობები (ლ. ლეჟავა, 2017).

ძალის მეშვეობით მშვიდობის შენარჩუნება ამერიკის სამხედრო მოდერნიზაციასა და ახალ საფრთხეთა მიმართ შესაძლებლობათა ადაპტაციას გულისხმობს, მათ შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში. ახალი ტიპის გამოწვევებმა, როგორცაა კიბერდანაშაული, საინფორმაციო ომი, პროპაგანდა ეჭვქვეშ დააყენეს ამერიკის დომინირება ხმელეთზე, წყალზე, ჰაერსა და კოსმოსში [ლ. ლეჟავა, 2017].

აშშ-ის სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება ენერგეტიკულ სფეროში სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების დაცვისას, აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ინტერაქცია, რომლებიც არეგულირებენ მოცემულ ურთიერთობებს.

აშშ-ის ენერგეტიკული უსაფრთხოების მექანიზმი არის ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამართლებრივი ზომების სისტემა, რომლებიც მიმართულია

სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების დაცვისკენ სხვადასხვა, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში არსებული რიგი სახის საფრთხეებისგან.

აშშ-ის უსაფრთხოების კონცეფციაში მოცემული ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია დეტალებში განიხილავს როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო ინტერესებს, ისე სხვა „მეორეხარისხოვან“ ინტერესებს.

აშშ-ის სტრატეგია ყოველწლიურად ახლდება, რაც საშუალებას აძლევს აშშ მთავრობას აქტიური რეაგირება მოახდინოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებებზე, და შესაბამისად კორექტივები შეიტანოს სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების ხასიათსა და მათი დაცვის ღონისძიებებში.

უახლოეს მომავალში მიზანშეწონილია:

1. კორექტივების შეტანა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკული უსაფრთხოების პოზიციონირებას, როგორც ზოგადად ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი.
2. ენერგოუსაფრთხოების დოქტრინის შემუშავება - დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია სისტემატიზაციაში მოაქციოს და განაზოგადოს ქვეყნის ხელისუფლების ოფიციალური ხედვა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.
3. უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც განიხილავს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიას და მისი რეალიზაციის საშუალებებს.
4. საგარეო საქმეთა სამინისტროს ეფექტიანობის გაზრდა ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესების გასატარებლად საერთაშორისო არენაზე დიპლომატიური მექანიზმებით.

5. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების აქტივიზაცია და გაღრმავება ნატოსა და ევროკავშირის ფარგლებში და მის გარეთ, ენერგეტიკული უსაფრთხოების საფრთხეების წინააღმდეგ რეაგირებისთვის (ბ.ს. ლუკშინი, 2011).

ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამხედრო პოლიტიკის განვითარებასთან ერთად არსებობს აგრეთვე საპირისპირო პროცესის არსებობა, რომელიც დამახასიათებელია ამჟამად რუსეთისთვის, კერძოდ კი - ენერგეტიკული პოლიტიკის გამოყენება, როგორც სამხედრო საფრთხეების აღკვეთის ინსტრუმენტი პარტნიორებთან სტაბილური პოლიტიკური ურთიერთობების დასამყარებლად, ენერგორესურსების მიწოდების საშუალებით.

დასკვნა

ენერგეტიკა ეს სწორედ ის სფეროა, რომლის განვითარება სრული მასშტაბით შეუძლებელია. ეროვნული ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სულ უფრო ხშირად იხმარება სამხედრო ძალა. ენერგეტიკული უსაფრთხოების მილიტარიზაციის პროცესი განსხვავდება ერთმანეთისგან. გლობალიზაცია ხშირად ხასიათდება სახელმწიფოს როლის დაუსტებით და ტრანსნაციონალური კორპორაციების, გლობალური ფინანსური ბირჟების, ინფორმაციული ტენოლოგიების გაზრდით. ამისდა მიუხედავად, სწორედ სახელმწიფო ქმნის იმ იურიდიულ გარანტიებს, რომლებიც ქმნიან ამგვარი არასახელმწიფო აქტორებისა და პროცესების წარმატებული ფუნქციონირების

უზრუნველყოფის გარანტიებს. ნებისმიერ დროს სახელმწიფოს შეუძლია აირჩიოს რედიკალური ნაბიჯები ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით და დაარღვიოს კიდევაც მასზე დაკისრებული საერთაშორისო გლობალიზაციური კავშირები.

ამგვარი მოვლენების განვითარება სავარაუდოდ არ მოხდება ახლო მომავალში. აშშ, როგორც სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური კუთხით ყველაზე განვითარებული ქვეყანა, ყველანაირად მხარდს დაუჭერს გლობალიზაციური პროცესების განვითარებას. თუმცა

1. ენერგოუსაფრთხოების სისტემა კომპლექსური საკითხია, რომელიც მოიცავს რამდენიმე ასპექტს: ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ენერგორესურსებზე ადეკვატური ფასების შენარჩუნება, ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურის ობიექტების დაცვა განზრახ საბოტაჟისგან და ეკოლოგიური რისკების მინიმალიზაცია. ამ მხრივ შეგვიძლია გამოვყოთ სახელმწიფოს ენერგოუსაფრთხოების საფრთხეების ძირითადი სახეები: ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ან გეოეკონომიკური და ეკოლოგიური. 21-ე საუკუნეში მათგან ყველაზე აქტუალური იქნება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური საფრთხეები, კერძოდ კი: ნავთობითა და გაზით მდიდარი ტერიტორიების დაპყრობის ან მათზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დარღვევის მცდელობები, აგრეთვე ტერორიზმი.
2. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტებს ძალიან მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ. ამასთანავე, სამხედრო პოლიტიკა არ წარმოადგენს ერთადერთ და მთავარ მექანიზმს, ენერგეტიკული ხაისათვის პრობლემების გადაწყვეტისას. რაც უკავშირდება უპირველეს ყოვლისა ენერგორესურსების გამო ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის დაწყების ალბათობას. თუმცა, ამგვარი შესაძლებლობის ბოლომდე გამოარიცხვა არ შეიძლება, რასაც ემატება

უფრო სავარაუდო ლოკალური და რეგიონალური დაპირისპირების განწყება საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტორების ამა თუ იმ რეგიონის ენერგორესურსებზე კონტროლის მოსაპოვებლად. ამ უკანასკნელის გამო სამხედრო პოლიტიკა თანდათანობით გამოდის ენერგეტიკული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ხასიათის საფრთხეების რეაგირების სისტემის ცენტრალურ ასპარეზზე, რაც განპირობებულია იმით, რომ შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური ბერკეტებით სრულფასოვანი რეაგირება მოახდინო ენერგეტიკული ხასიათის საფრთხეებზე.

3. აშშ განიხილავს ახლო აღმოსავლეთს, როგორც მისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს ზოგადად ეროვნული უსაფრთხოების და კონკრეტულად ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთიდან აშშ მხოლოდ ნავთობის 10-15%-ის იმპორტირებას ახდენს. სამხედრო პოლიტიკის რეალიზაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით, აშშ აღწევს ორ ძირითად მიზანს - უზრუნველყოფს საკუთარ სამხედრო-პოლიტიკურ დომინირებას ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკულად მნიშვნელოვან რეგიონში და ერთდროულად მუშაობს, რათა არ დაუშვას სხვა დაინტერესებული ქვეყნების, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი (რომლებიც უფრო მეტად არიან დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ენერგომატარებლებზე, ვიდრე თვითონ აშშ) და რუსეთი, პოზიციების გამყარება რეგიონში.
4. ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ართმანეთს უპირისპირდება ენერგეტიკულ სფეროში სამი წამყვანი აქტორების აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები, რაც თავისთავად ზეგავლენას ახდენს შეიარაღების რბოლის გაძლიერებას და მთლიანი რეგიონის მილიტარიზაციას, რომელსაც აგრეთვე უერთდებიან სხვა რეგიონული აქტორები - ირანი, ინდოეთი, აზერბაიჯანი, რომელთაც გარკვეული პრეტენზიები აქვთ რეგიონის სიმდიდრეებზე.

5. არქტიკის რეგიონი წარმოადგენს ახალ პოტენციურ ტერიტორიას, სადაც შეიძლება გაჩაღდეს სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება, რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალის განკარგვის უფლებისთვის. დელიმიტაციის პრობლემის გადაწყვეტობა ზრდის მის კონფლიქტურ პოტენციალს, რასაც ემატება ჩინეთის მცდელობა, რომ წარმოაჩინოს არქტიკის რეგიონი, როგორც საერთო მემკვიდრეობა და მისი მცდელობები შეაღწიოს იქ.
6. ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებელი პროგნოზები გვიჩვენებს, რომ კონფლიქტები შესაძლოა იყოს სამი სახის: სასაზღვრო - ყველაზე სავარაუდო, შიდასახელმწიფოებრივი - ნაკლებად სავარაუდო, სახელმწიფოთაშორისი - უფრო ნაკლებად სავარაუდო.
7. აშშ-მა, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა სახელმწიფომ საერთაშორისო ენერგეტიკულ არენაზე, უახლოეს მომავალში მიზანშეწონილია გაატაროს რიგი პრაქტიკული ზომები ეროვნული ენერგეტიკული ინტერესების ეფექტიანი დაცვისთვის - როგორც ამგვარი მოქმედებების თეორიული საფუძვლის განვითარების კუთხით, ისე უფრო ეფექტიანი პრაქტიკული მოქმედებების კუთხით.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ამერიკიდ შეერთებული შტატები აქტიურად იყენებდა სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებს ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამ პოლიტიკამ განაპირობა ენერგეტიკის სფეროში ამერიკული კომპანიების წარმატებით დაფუძნება ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის რეგიონებში. ამ ეტაპზე სამხედრო პოლიტიკური ასპექტების გამოყენება იმდენად აქტუალრი აღარ არის, რადგან აშშ-მა შეიმუშავეს ენერგორესურსების მოპოვების ახალი ტექნოლოგია ფიქალის გაზისა და ნავთობის წარმოებით. თუმცა, საჭიროა სამხედრო ძალის მუდმივი წვრთნა და საბრძოლო მზადყოფნაში ყოლა, რადგან თანამედროვე რეალიებიდან გამომდინარე, როდესაც საერთაშორისო

ურთიერთობების სისტემა განიცდის ძირფესვიან ცვლილებებს, ყალიბდება ძალთა ახალი ბალანსი, გაერო კარგავს თავის აქტუალობას და ლეგიტიმურობას, აგრეთვე არქტიკის სახით ჩნდება ახალი ენერგეტიკული და სტრატეგიული ინტერესის ობიექტი „დიდ საჭადრაკო დაფაზე“. ყოველივე აღნიშნული იწვევს ლოკალური, რეგიონული თუ საერთაშორისო დაპირისპირების სხვადასხვა შესაძლო სცენარებს, რომელიც თანამედროვე პირობებიდან გამომდინარე სწრაფად დაიწყება და განვითარდება, ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველთვის აქტიურ მზადყოფნაში უნდა ჰყავდეს სამხედრო ძალა, რათა საჭიროების შემთხვევაში სკურპულოზურად და დროის მოკლე მონაკვეთში მოაგვაროს წარმოჩენილი პრობლემა. ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ თუნდაც ერაყის კამპანია, რომელიც სამხედრო პოლიტიკური ასპექტების გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია არ ჩაიარა ეფექტიანად, მაგრამ ფაქტი არის ის, რომ ამ აქციით აშშ-მა შეზღუდეს ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსია რეგიონში და მისცეს ამერიკულ კორპორაციებს საშუალება, რათა დაფუძნებულ იყვნენ ერაყის ენერგორესურსების ბაზარზე.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმ ფაქტისა, არსებობს თუ არა აქტიური სამხედრო ოპერაცია, აშშ-ის ენერგეტიკული უსართხოობის უზრუნველყოფის საქმეში აუცილებელია სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების გამოყენება, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ძლიერი სამხედრო პოტენციალის არსებობა თავისთავად ანგარშვასანევს ხდის სახელმწიფოს საერთაშორისო არენაზე.

გამოყენებული ლიერტატურა

1. „როდონი“ ელექტრონული გამომცემლობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, როგორც აშშ-ის გლობალიზაციის სტრატეგიის ელემენტი, <http://www.rodon.org/polit-110315105623> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
2. „ტრამპის მატყუარა ენერგეტიკული პოლიტიკა“ ნიუ იორქ თაიმსი, თებერვალი, 2018 <https://www.nytimes.com/2018/02/04/opinion/trump-energy-policy.html> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
3. ამერიკის შვერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, დეკემბერი, 2017. <https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018).
4. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი, ენერგეტიკა და საზოგადოება, თბილისი, 2014
5. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბილისი, 2014
6. ლუკშინი ბ.ს., 2011, სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების სამხედრო ასპექტები, მოსკოვი, 2011.
7. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები საქართველოსთვის, http://weg.ge/sites/default/files/georgia_0.pdf (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
8. ს. კლიფორდ, ნავთობი და უსაფრთხოება, იანვარი, 2008 <https://www.stanleyfoundation.org/publications/pab/PAB08Singer.pdf> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
9. საერთაშორისო უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, ენერგეტიკის გეოპოლიტიკა: გამონვევი და შესაძლებლობები, თბილისი, 2014

10. «The Military Power of the People’s Republic of China». Report of the United States Department of Defense. 2002. // www.defense.gov/pubs/china.html
(ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
11. Bronson R. Thicker than Oil: America’s Uneasy Partnership with Saudi Arabia. Oxford: Oxford University Press, 2008.
12. Crandall M. Energy, Economics and Politics in the Caspian Region. Westport (Conn): Praeger Security International, 2006.
13. Global Trends 2025: A Transformed World. November 2008 // http://www.dni.gov/nic/PDF_2025/2025_Global_Trends_Final_Report.pdf
(ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
14. Jakobson L. China prepares for and ice-free Arctic. March 2010 // <http://books.sipri.org/files/insight/SIPRIInsight1002.pdf> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
15. Kay S. Global Security // Introducing Global Issues. 4th edition / Ed. by Michael T. Snarr and D. Neil Snarr. Lynne Rienner, 2008; Kay S. Global Security in the Twenty-first Century. The Quest for Power and the Search for Peace. Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2006; Kay S. Security Governance in Eurasia / Ed. by James Sperling and S. Victor Papacosta. Manchester University Press, 2003
16. Klare M. Bush-Cheney Energy Strategy: Procuring the Rest of the World’s Oil. January 2004 // <http://www.commondreams.org/views04/0113-01.htm> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
17. Klare M. Rising Powers, Shrinking Planet: The New Geopolitics of Energy. New York: Henry Holt & Company, Incorporated, 2009; Klare M. Blood and Oil: The Dangers and Consequences of America’s Growing Dependency on Imported Petroleum. New York: Metropolitan Books, 2005; Klare M. Resource Wars: The New Landscape of Global Conflict. New York: Owl Books, reprint edition 2002.
18. Moran D. Climate Change and National Security. Washington (D.C.): Georgetown University Press, 2011; Moran D. The Maritime Governance System // The

- Politics of Maritime Power / Ed. by Andrew Tan. Routledge, 2011; Moran D., Russell J. Energy Security and Global Politics: The Militarization of Resource Management. Routledge, 2009; Moran D. War in the Middle East // Handbook of US-Middle East Relations / Ed. by Robert E. Looney. Routledge, 2009.
19. Moran D., Russell J. Energy Security and Global Politics... Op. cit.; Russell J. Environmental Security and Regional Stability in the Persian Gulf // Middle East Policy. Vol. XVI. No. 4 (Winter 2009); Russell J. Charting U.S. Security Strategy in the Persian Gulf // Great Powers and Regional Orders: The United States and the Persian Gulf / Ed. by Markus Kaim. Burlington (VT): Ashgate, 2008; Russell J. Ideas and Foreign Policy: The Future of U.S. Relations with the Middle East // Europe and the Gulf. May 2007; Russell J. Critical Issues Facing the Middle East: Security, Politics, and Economics // Palgrave Macmillan Initiatives in Strategic Studies: Issues and Policies. New York. June 2006.
20. National Security Strategy 2010 // http://www.whitehouse.gov/sites/default/files/rss_viewer/national_security_strategy.pdf (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
21. Quadrennial Defense Review Report. February 2010 // http://www.defense.gov/qdr/images/QDR_as_of_12Feb10_1000.pdf (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
22. Shaffer B. Caspian Energy Export Phase II: Beyond 2005 // Energy Policy. 2010. No. 38; Shaffer B. Energy Politics. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2009; Shaffer B. The Geopolitics of the Caucasus // Brown Journal of World Affairs. Vol.15. No. 2 (May 2009); Shaffer B. Borders and Brethren: Iran and the Challenge of Azerbaijani Identity. Cambridge (Mass.): MIT Press, 2002; Shaffer B. Partners in Need: The Strategic Relationship of Russia and Iran. Washington (D.C.): Washington Institute for Near East Policy, 2001.
23. Simmons M. Twilight in the Desert: The Coming Saudi Oil Shock and the World Economy. Hoboken (NJ): John Wiley, 2005.

24. The National Intelligence Strategy of the United States of America. August 2009
// <http://www.state.gov/secretary/rm/2009a/july/126071.htm> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
25. U.S. Energy Information Administration. Independent Statistics and Analysis // http://www.eia.gov/dnav/pet/pet_move_impcus_a2_nus_ep00_im0_mbb1_a.htm (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
26. US Navy Arctic Road Map. November 2009 // http://www.navy.mil/navydata/documents/USN_artic_roadmap.pdf (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
27. Австралия призналась в интересе к иракской нефти // Коммерсант Власть. 09.07.2007.
28. Клименко А.Ф. Энергетические факторы в военной политике государств Евразии // Энергетические измерения международных отношений и безопасности в Восточной Азии под. ред. А.В. Торкунова. Москва, 2007. С.211.
29. Мировой порядок после терактов в США: проблемы и перспективы. Комментарий КВП. М., 2002. с.10.
30. Морозов Ю.В., Влияние военной политики США на обеспечение стабильности в Центральной Азии и на национальные интересы США в регионе // Россия и Америка в XXI веке. Электронный научный журнал. 2010. No 2;
31. По данным Стокгольмского международного института исследований проблем мира (SIPRI), в 1999-2000 годах из 27 крупных военных конфликтов только два были межгосударственными.
32. Цит. по Нураков Н. Милитаризация внешней политики США и их интересы в Центральной Азии // <http://www.easttime.ru/analitic/1/199.html> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)

33. <http://bfm.ge/fiqalis-gazi-msofli-politikas-shecvlis/> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
34. http://weg.ge/sites/default/files/energetikuli_usaprtxoeba_1.pdf (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
35. <http://www.globalsecurity.org/military/ops/caspian-guard.htm> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
36. <http://www.state.gov/secretary/rm/2009a/july/126071.htm> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
37. <https://bpn.ge/analizi/1320-ashsh-shi-fiqalis-gazis-tsarmoebis-qbumiaq-emuqreba-thu-ara-rusul-energoimperias-aghsasruli.html?lang=ka-GE> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)
38. <https://www.state.gov/documents/organization/229409.pdf> (ბოლოს დამონმებულია 18.06.2018)